დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფს წარმოადგენდნენ:

თავმჯდომარე: ლია ჯალაღონია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ტარიელ სივსივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,

იოსებ ლაზარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

თამარ ზედგენიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა ბენდელიანი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლია იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242007369

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩოხატაური
იურიდიული მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
ფაქტობრივი მისამართი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zoti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551092044

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 7 სექტემბრის ბრძანება N1100082
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 23 და 24 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ092044

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის, სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზოტის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ლია ჯალაღონია - თავმჯდომარე, წევრები:
ტარიელ სივსივაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო ბერიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
იოსებ ლაზარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მადონა ბობოხიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
თამარ ზედგენიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ბენდელიანი- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი/შეხვედრებს ესწრებოდა საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი ლია ჩხიკვაძე.
ვიზიტის ბოლოს სამუშაო შეხვედრებზე ექსპერტებმა ურთიერთშეჯერებული ინფორმაცია ვიზიტის დროს გამოკვეთილი საკითხების შესახებ მიაწოდეს სკოლის წარმომადგენლებს.

ვიზიტმა საქმიან და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლის პედაგოგმა (ნ.ირემაძე) პროექტი „ჯუნიორ ეჩივმენთი“გამოიყენა მოზარდთა პროფესიული ორიენტაციის, სამეწარმეო კომპეტენციის განსავითარებლად და ის დაუკავშირა თემის მწვავე პრობლემას (დასაქმება,უმუშევრობა). შედეგად რამდენიმე უფროსკლასელ მოსწავლეს დაუფინანსდა ინდსაწარმო(ინკუბატორი, სალონი, მეცხოველეობა).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა „მეტწილად შესაბამისად“ შეაფასა სსიპ ჩოატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	

სტანდარტი №2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფხური*	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძ სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლ 25 თებერვლამდე დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარებ გეგმა*
ინდიკატორი N1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძ სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლ 25 მარტამდე დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
ინდიკატორი N1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიულ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებ შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტურ ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურულ ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელ უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძ სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლ 25 მარტამდე დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
სტანდარტი 3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *1. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს მიერ დამტკიცებული სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა* *2. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს სასკოლო შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა* *3. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.* *4. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 21.11.2023-21.12.20 კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის წესით შეარჩიოს სკოლ ექიმი/ექთანი*
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *1. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 2024 წლის 22 ნოემბრამდე მოამზადოს რესურსოთახი* *2. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 2024 წლის 22 ნოემბრამდე უზრუნველყოს პანდუსით შენობა, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკაა განთავსებული*
ინდიკატორი N3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას დ კომუნიკაციას ოფიციალურ ვებგვერდის/ვებგვერდზეშესაბამისი გვერდისა და სხ საკომუნიკაციო არხების საშუალებით*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:*

		უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართუ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებებ სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელ კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელ დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსურ მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული დ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტ ინფორმაცია.	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძ სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლ მიეცა რეკომენდაცია: უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარე (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდ ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდ სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმ გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რეკომენდაცია

ინდიკატორი 4..2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2024 წლის 11 ნოემბრამდე უზრუნველყოს სსსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის კომპონენტების შემუშავება (მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა, ისგჯგუფის შექმნა, ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რესურსოთახი)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფხური	რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურ მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2024 წლის 22 ნოემბრამდე უზრუნველყოს 1. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა 2. დახურული სპორტული დარბაზის მოწყობა რომელთა არარსებობით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელებ პროცესს
სტანდარტი№2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფხური	რეკომენდაცია
კომპონენტი 2.2	კურიკულუმის განხორციელება	სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურ მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2024 წლის 22 ნოემბრამდე უზრუნველყოს 1. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა

		2. დახურული სპორტული დარბაზის მოწყობა *რომელთა არარსებობით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებ* *მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელებ* *პროცესს*
სტანდარტი№2	*სასკოლო კურიკულუმი* *საშუალო საფხური*	*რეკომენდაცია*
კომპონენტი 2.2	*კურიკულუმის განხორციელება*	*სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურ* *მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია:* *შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2024 წლის 22 ნოემბრამდე უზრუნველყოს* *1. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის მოწყობა* *2. დახურული სპორტული დარბაზის მოწყობა* *რომელთა არარსებობით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებ* *მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელებ* *პროცესს*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა ხედ* *არის ძალიან ზოგადი, დასახვეწია, უფრო კონკრეტული სახით არის წარმოსადგენი; არ არ* *გაზომვადი და ბუნდოვანია, როგორ ხედავს სკოლა მისიის მისაღწევ გზებს, გარდა ამის* *მოცემულია ღირებულებები, რომლებიც საკმაოდ ვრცელია, ზოგიერთი ღირებულება ფარა* *ერთმანეთს,*

ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლის მისიაში არის ასახული, რომ სკოლა ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების დანერგვას. ეს მიმართულება სკოლის სტრატეგიულ გეგმაში არ არის მოცემული; მისიის რევიზიასთან ერთად უნდა მოხდეს სტრატეგიული გეგმის რევიზიაც. სკოლის დირექციამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება მომქმედი მისიისა და ხედვის რევიზია/კორექტირება, რომლის დროსაც ვურჩევთ მაქსიმალურად ასახონ სამოქმედო გეგმაში სკოლის მისიით მოცემული მიმართულებები.
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, თუმცა ზოგადად არის მითითებული შესაბამისი რესურსები და არ არის მოცემული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები; ვფიქრობთ, სამოქმედო გეგმაში ზუსტად უნდა მიეთითოს აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსები და აღიწეროს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	წარმოდგენილ დოკუმენტში „სკოლის სტრუქტურა“ შესატანია კორექტივი(მაგ. აკლ ხარისხის განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი, ბიბლიოთეკარი, მნე , ასევე გასასწორებელ სტრუქტურული ერთეულების ურთიერთმიმართება).
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	1. სკოლას მიეცა რჩევა კანონმდებლობის შესაბამისად გამოაცხადოს კონკურსი არა ექიმი არამედ ექთნის ვაკანსიაზე. 2. სოფლის სამედიცინო ამბულატორია უნდა გადაიტანილ იქნას სკოლის შენობიდან

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლის ადმინისტრაციას ვურჩიეთ, რადგან სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, არც ღ სპორტული მოედანი - სპორტის გაკვეთილები და სპორტული ღონისძიებების ნაწილი ტარდ სკოლის მოუწყობელ სარდაფში ან სკოლის უკან ეზოში(უსწორმასწორო, დამრეცი ზესაპირი - შესაძლებელია ეზოს მიმდებარე ხელოვნურსაფარიანი, სპორტული მოედანი სასოფ თემთან მოლაპარაკებით სკოლას ბალანსზე გადაეცეს.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხურები)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავებ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლ საზოგადოების ინტერესი შეხედულებების, შესაძლებლობებისა (პრიორიტეტების გათვალისწინებ შესაძლებლობას;	სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა (პრიორიტეტების შესწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფ მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგო ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოებ პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრ	სასურველია ქიმიის კურიკულუმებში(კლასების მიხედვით) იყოს წარმოდგენილი კვლევით დავალებები, ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით.

	გრძელვადიან მიზნებს (გლობალუ ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკ ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	
ინდიკატორი 2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლ საზოგადოების ინტერესები;	სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლ საზოგადოების მიერ.	სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვ მიკუთვნებულობის განცდა.
კომპონენტი N 2.1.2.	კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	ქიმიის და ბიოლოგიის 10-ე კლასის კურიკულუმში განისაზღვროს შუალედური მიზნები
ინდიკატორი 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზ ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწე შესაბამისი რესურსების მითითებით.
ინდიკატორი N 2.1.2.3.	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	გათვალისწინებულ იქნას დიფერენცირებული მიდგომა სსსმ მოსწავლისთვის და ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის საგნებში(კლასების მიხედვით) შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინდიკატორი 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	მათემატიკის კათედრამ შექმნას რუბრიკების ბაზა ყველა კლასისა და თითოეული თემისათვ რაც დაეხმარება მოსწავლეთა რელევანტურ შეფასებაში
ინდიკატორი 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლ აქტიურ შემოქმედებით პროცეს ჩართულობის შესაძლებლობას;	სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასეე კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლ პროექტების დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.
ინდიკატორი 2.2.2.1.	სასწავლო პროცესი უზრუნველყო სამიზნე ცნების და მისი მკვიდ წარმოდგენების გათავისებას საგნობრ საკითხებზე დაყრდნობით;	სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება.
ინდიკატორი 2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასებ სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სასურველია დირექციამ და მასწავლებლებმა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის სწორად დანერგვის მიზნით, ადეკვატურად და რეალისტურად გაიაზრონ შემუშავებული დოკუმენტი, გაითვალისწინონ სკოლის ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები და ისე დაგეგმონ შესაბამისი ქმედებები.
ინდიკატორი 2.2.3.2.	სასწავლო პროცესი წარიმართ მოსწავლეზე ორიენტირებულად;	პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტ კომპლექსური ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმ
ინდიკატორი 2.2.3.3.	სასწავლო პროცესი ეფუძნ თანამშრომლობით კულტურასა კომუნიკაციას;	სასურველი და მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლ საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმ შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ინდიკატორი 2.2.3.4.	*უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.*	*სასურველია სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივობები დაგეგმვის მიზნით.*
ინდიკატორი 2.3.1.2.	*მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;*	*სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად", თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.*
ინდიკატორი 2.3.2.1.	*შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;*	*სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტური შეფასების მიზნით.*
ინდიკატორი 2.3.2.2.	*შეფასება ხორციელდება მრავალ კონტექსტის გათვალისწინებით;*	*სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვ კონტექსტის გათვალისწინება.*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად:

1.N1.2.1.2. ინდიკატორის მოთხოვნის -„სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს“- უზრუნველსაყოფად სკოლა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას დაამტკიცოს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა 2024 წლის 25 თებერვლამდე.

2.N1.2.1.4. ინდიკატორის მოთხოვნის - „სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“ -უზრუნველსაყოფად სკოლა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024 წლის 25 მარტამდე.

3.N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის“ მომზადება და შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან განახორციელოს 2024 წლის 21 ნოემბრამდე.

4. N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა იღებს ვალდებულებას შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლის შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2024 წლის 21 ნოემბრამდე.

5. N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა იღებს ვალდებულებას შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2024 წლის 21 ნოემბრამდე.

6. N3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“- უზრუნველსაყოფად სკოლა იღებს ვალდებულებას შესაბამისობის გეგმის თანახმად უზრუნველყოს სკოლის ექიმის /ექთნის დანიშვნა 2023 წლის 21 დეკემბრამდე.

7. N3.5.1.3. ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“- უზრუნველსაყოფად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 2024 წლის 22 ნოემბრამდე მოამზადოს რესურსოთახი.

8. N3.5.1.3 ინდიკატორის მოთხოვნის - „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“- უზრუნველსაყოფად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში: 2024 წლის 22 ნოემბრამდე მოაწყოს პანდუსი შენობაში, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკაა განთავსებული

9.N3.6.3.1 ინდიკატორის - „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ - მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები ჩაატაროს (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) - 2023 წლის 22 დეკემბრამდე.

9. N3.6.3.4 ინდიკატორის - „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლა იღებს ვალდებულებას სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები ჩაატაროს(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) -2023 წლის 22 დეკემბრამდე.

10. N3.6.3.5 ინდიკატორის - „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია“- მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად,სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებების ჩატარება(შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 2023 წლის 22 დეკემბრამდე.

11. N2 სტანდარტის - „სასკოლო კურიკულუმი“ 2.2 კომპონენტის -„კურიკულუმის განხორციელება“ უზრუნველსაყოფად დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის სკოლა შესაბამისობის გეგმით იღებს ვალდებულებას 2024 წლის 22 ნოემბრამდე შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია წარმართოს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის და დახურული სპორტული დარბაზის მოსაწყობად.

აღნიშნული საკითხები განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით გადმოცემული სკოლის არგუმენტირებული პოზიცია.

ინდიკატორები N1.2.1.2. და N1.2.1.4. შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, კომპონენტი 1.2. შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“-

გამომდინარე აქედან სტანდარტი N1 შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“

ინდიკატორი N3.4.1.1. შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი 3.4 შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორი N3.5.1.3. შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი 3.5 შეფასდა - „მეტწილად შესაბამისი“.

ინდიკატორები N3.6.3.1, N3.6.3.4 N3.6.3.5 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და კომპონენტი 3.6. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

გამომდინარე აქედან მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“

ინდიკატორი N4.2.3.1. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, კომპონენტი 4.2. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“

გამომდინარე აქედან სტანდარტი N4 შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
7. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც ჩაშენებულია 2023/24 სასწ.წლის წლიურ სასკოლო გეგმაში. სკოლის მისიის და ხედვის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა, ვიზიტის პერიოდში დაგვიდასტურეს, რომ განხორციელდა შიდა სასკოლო საზოგაროების თითქმის ყველა პირის ინტერვიურება. მასალები დაამუშავა სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ შექმნილმა ჯგუფმა(რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, დირექცია-ადმინისტრაციის, მშობლების და საშუალო საფეხურის მოსწავლეებიაგან), ამ ჯგუფისაგან წარმოდგენილი პროექტი ჩაშენებული იქნა 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში, რომელიც

ხსენებულ გეგმასთან ერთად იქნა განხილული(შეთანხმებული) სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას გააჩნია აღნიშნული პროცედურების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მისიასა და ხედვაში ცალსახად არის გამოკვეთილი სკოლის როლი, რომელიც ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლა მიზნად ისახავს, მასტიმულირებელ უსაფრთხო გარემოში თითოეული მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზით იქცეს თემისა და რეგიონის მასშტაბის მქონე ზოგადსაგანმანათლენლო დაწესებულებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისის-ხედვა-ღირებულებების შემუშავებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო 2022/23 სასწ.წლის ბოლოს. სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ შედგენილი იქნა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი სკოლა უნდოდათ. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შედგენილი იქნა მისია-ხედვა-ღირებულებების პროექტი, რომელიც დამტკიცდა შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებში განხილვის შემდეგ .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები შედგენილი იქნა სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, რამაც განაპირობა მისი უპირობო მიმღებლობა მთლიანი საზოგადოებისაგან. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით სკოლა ცდილობს, შექმნას უკეთესი სასწავლო გარემო როგორც მოსწავლეების, ისე თავისი დასაქმებულებისათვის. სკოლის ღირებულებები თანხვედრაშია სასკოლო თემის ღირებულებებთან. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც. რომ სკოლას ცხოვრება უხდება მულტიკულტურულ გარემოში, რაც კიდევ უფრო მეტ პასუხლისმგებლობას აკისრებს მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში განთავსებულ ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისის-ხედვა-ღირებულებები ჩაშენებულია 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტი(სასკოლო გეგმა) საჯაროდ ხელმისაწვდომია. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ.გვერდი, სადაც განთავსდებოდა აღნიშნული, ასევე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სკოლამ მოძებნა ასეთი ტიპის გამოსავალი, რომ მისია-ხედვა-ღირებულებები გამოფინა სკოლის შიდა სივრცეში მოწყობილ სტენდზე, რომელიც ვერ დარჩება შეუმჩნეველი სკოლის შენობაში შემსვლელი ნებისმიერი პირსათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლის სახელწოდება- "სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა" შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სოფელ ზოტის საჯარო სკოლის 2023/24 სას.წლის სასკოლო გეგმა.

ინტერვიუ სკოლის დირექციასთან

შეფასება:

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის 2023/24 სასწ.წლის სასკოლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

1.სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია(დამტკიცებულია სოფელ ზოტის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმით), წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის და თანამონაწილეობით მიდგომებს, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი იქმნება გამჭირვალობის, სამართლიანობის, მიზანშეწონილობის და სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას არ აქვს დამტკიცებული შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარების გეგმა. ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა ზემოთ ხსენებული გეგმის პროექტი. სკოლას ჰყავს ახალი დირექტორი, რომელმაც გამოთქვა მზაობა, რომ შვიდწლიანი, ციკლური სტარეტეგიული განვითარების გეგმა შემუშავებული იქნება 2023/24 სასწავლო წლის განმავლობაში. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 თებერვლამდე დაამტკიცოს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

3.სკოლას არ აქვს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ვიზიტის პერიოდში არც პროექტი წარმოუდგენიათ. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 მარტამდე დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

4.სკოლას არ აქვს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2024 წლის 25 მარტამდე დაამტკიცოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

1. სკოლას დამტკიცებული აქვს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. შესაბამისი საკითხის ინიცირებას ახდენს დირექტორი. სტრატეგიული გეგმის გეგმიური გადახედვა ხორციელდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. არაგეგმიური გადახედვა/შეფასება შესაძლებელია ინიცირებულ იქნას დირექტორის მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გეგმების მიმოხილვისა და შეფასების ინიცირება ხდება სკოლის მიერ. მომოხილვის და შეფასების პროცესი ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, რომელსაც კოორდინაციას გაუწევს სკოლის დირექტორი. შეფასების ანგარიშს დირექტორი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს და მათთან ერთად იღება გადაწყვეტილებას გასატარებელი ცვლილებების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.ამ ეტაპზე ინდიკატორი 1.2.2.3. არ ფასდება

4. ინდიკატორი 1.2.2.4. შეფასებას არ ექვემდებარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არის განსაზღვრული. სკოლის სტრუქტურაა: სკოლის დირექტორი, მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი, სპეცმასწავლებელი, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, 7 კათედრა, პედაგოგები. სკოლას არ ჰყავს ექიმი/ექთანი. სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი - სტრატეგიული განვითრების გეგმის გამყოფილებაში „მენეჯმენტი და სტრუქტურა“ არის მოცემული სკოლის სტრუქტურა, რაც არასრულია - არ მოიცავს ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს(ბიბლიოთეკარი, დარაჯი, დამლაგებელი), რაც სკოლას მიეთითა. არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქციები და უფლება-მოვალეობებია დაწვრილებითა არ არის განსაზღვრული, თუმცა შიდასასკოლო დოკუმენტებში „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“(ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი), სკოლის წესდება(დირექტორი, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედსაბჭო) საქმისწაროების წესი (საქმისმწარმოებელი), სასკოლო სასწავლო გეგმა(მასწავლებელი) თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებები, არის გაწერილი მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სექტორები, პასუხისმგებლობები, სკოლის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობები. სკოლაში წარმოგვიდგინეს სკოლის

დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის წესდების და შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის დარაჯის, დამლაგებლის, ბიბლიოთეკარის უფლება-მოვალეობები, სამუშაოს აღწერილობა, სამუშაო პირობები მოცემულია შრომით ხელშეკრულებაში რომელიც ორივე მხარის ხელმოწერით არის დამოწმებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობისა, სკოლაში გარკვეული შტატების არ არსებობის გამო (მნე, მანდატური, შესყიდვების კოორდინატორი და ა.შ.) სკოლის პერსონალს გადანაწილებული აქვს შესაბამისი ვალდებულებები. მაგ: სკოლაში შესყიდების კოორდინატორის ფუნქციებს ასრულებს სკოლის ბუღალტერი. სკოლის მნეს მოვალეობები გადანაწილებული აქვთ სკოლის დამლაგებლებსა და დარაჯებს. სკოლის სამოქმედო გეგმაში ძირითადი მიზნებისა და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ფუნქციების შესაბამისად არიან განსაზღვრული. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია (ბრძანება N2-04, 18.04.2019) სასკოლო დროს უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი თანამშრომლებთან დადებულია ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობასთან შეთანხმებით. სკოლის თანამშრომლების შესარჩევი პროცედურების ამსახველი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პედაგოგების, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება თანამდებობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები)

სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, თანამშრ.ხელშეკრულება მასწ.ხელშეკრულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სკოლის წესდების და შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის ადმინისტრაციამ გაგვიმართა, რომ მუშაობს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტზე, რომელიც უკავშირდება ადამიანური რესურსების მართვის კარგად დაგეგმილ სისტემას და რომელშიც გაწერილია შემდეგი საკითხები:პერსონალის მოზიდვა,შერჩევა, დანიშვნა,შეფასება , პროფესიული განვითარება,წახალისება,დისციპლანური პასუხისმგებლობა, განთავისუფლება, ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან, თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შემუშავებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლოდ. ადამიანური რესურსის მართვისას სკოლის სტრატეგიაა პედაგოგთა საქმინაობის ისე დაგეგმვა და წარმართვა, რომ ხელს შეუწყოს ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას. კანონმდებლობის საფუძველზე ხდება ადამიანური რესურსების მართვის ყველა კომპონენტის გათვალისწინება: პედაგოგთა კონკურსის გზით მიღება, დასაქმებულის ადაპტაციაში ხელშეწყობა, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ. შესაბამისად, სკოლა ადამიანურ რესურსებს მართავს კანონმდებლობის მიხედვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლა დირექტორის ინდივიდუალური სმართლებრივი აქტით, კანონმდებლობისა და შინაგანაწესის საფუძველზე უზრუნველყოფს პერსონალის პრევენციულ და ინტერვენციულ პოლიტიკის გატარებას და ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. საკვანძო პრინციპებია - შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის, მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან. სკოლის თანამშრომელთა ანგარიშგება და პასუხისმგებლობა გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და შრომით ხელშეკრულებებში .

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge-ზე. საკონკურსო კომისიის ოქმებიდან ჩანს რომ კომისია კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. რაც შეეხება სკოლის სხვა თანამშრომლებს, მათი შერჩევისას დირექტორი არ იყენებს კონკურსის წესს. სკოლის სხვა პერსონალის მიღება (გარდა მასწავლებლისა/მასწავლებლის მაძიებლისა) ხდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. თუმცა ხაზგასმულია, რომ თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. სასურველია ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დასაცავად სკოლის ყველა ვაკანსიის შესავსებად გამოიყენოს ადმინისტრაციამ კონკურსის წესით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა. თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო კანონმდებლობით მოთხოვნილი დოკუმენტაცია: პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; დასაქმებულების პირად საქმეში არ ინახებოდა ნასამართლობის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის“ შესახებ და სკოლამ სტანადრტტან შესაბამისობის გეგმით ისინი წარმოადგინა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული საკუთარ პერსონალთან. სკოლას ამჟამად ჰყავს 1 მოწვეული, 18 უფროსი, 1 წამყვანი, 1 მენტორი მასწავლებელი. eschool-ის ბაზაში მასწავლებელთა მონაცემები სრულადაა ასახული. პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5. სკოლის სტრუქტურის ყველა რგოლს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს და თავისი წვლილი შეიტანოს სკოლის მართვაში, რომელიც ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. რომლის დროსაც მნიშვნელოვანია უფლებამოსილების/ძალაუფლების დელეგირება, ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და ურთიერთობის წახალისება, გუნდური მოტივაციის შექმნა. მაგ.საათების განაწილება კათედრებზე, კურუკულუმის შემუშავება და დაგეგმვა კათედრებზე.რაც მოიცავს საგნობრივი კათედრების მიერ შესაბამისი მიმართულებით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა საკითხების განხილვას, კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს და თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მიერ მათთვის საინტერესო საკითხების, პროექტების, ღონისძიებების ინიცირებას, მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობის ხელშეწყობას და იდეების განხორციელებაში დახმარების გაწევას, მრჩეველთა საბჭოსა და დიციპლინური კომიტეტის მუშაობის ხელშეწყობას, პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირების ხელშეწყობას. სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, განხორციელებული პროექტები, რომლებშიც სხვადასხვა საგნის პედაგოგები თანამშრომლობენ) და ა.შ. სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლები ონლაინ ფორმატში ჩართულები არიან სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული

ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და ვებინარებში. სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“ რამაც პედაგოგთა თანამშრომლობითი აქტივობები კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2..5. სტანდარტს შეესაბამება.

6. სკოლის შინაგანაწესი (მუხლი 10)თანამშრომელთა წახალისების სისტემაა მოცემული:

1. პერსონალის მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ. პროფესიულ განვითარებაში პერსონალის დაინტერესებულობის გაზრდისკენ.

2. სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელის გადაცემა;

გ) ფასიანი საჩუქრის გადაცემა;

დ) ფულადი პრემიის გაცემა.

„ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა“.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, გარდა დღესასწაულებთან დაკავშირებით წახალისების ფორმის გამოყენებისა

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის შემოსავლები იძლეოდა დასაქმებულების წახალისების შესაძლებლობას, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა პრემიების მუხლი, რომელმაც შეადგინა 5000 ლარი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 1.2.6. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, შინაგანაწესი, ვაკანსიის სქრინი, თანამ.შრ.ხელშეკრულება, მასწ.ხელშეკრულება, N12 დანართი საკონკურსო კომისიის ოქმი, ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის), სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები - სკოლის პროფესიული განვითარება არის ყოველდღიური მიმდინარე პროცესი. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების ჯგუფი. „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართვისთანავე მასწავლებელთა შეფასების დროს გამოიკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შეიქმნა პროექტი „შემაჯამებელი დავალებების ანალიზი“, რომელმაც პედაგოგების განცხადებით მნიშვნელოვნად განავითარა მათი უნარები. სკოლა ახდენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას, ზოგადი განათლების რეფორმის (ახალი სკოლის მოდელის) ფარგლებში მიმდინარე სასწავლო წელს საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობას, შიდა სასკოლო ტრენინგების ორგანიზებას კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შექმნა/წარმოების თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში), ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარებას. სკოლას არ აქვს მუშაობს პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტზე, რომელშიც გაწერილი იქნება პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, თუმცა მუშაობენ მასზე. პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ეხება ასევე სასკოლო დოკუმენტი(სსიპ მურტაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-36, 15.09.23) „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ აქ საუბარია სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემაზე (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ეს პროცესი მოიცავს თანამშრომლების აქტიურ კომუნიკაციას, მოსმენას და პატივისცემას. პერსონალის პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლა ჩართული იყო პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში“და ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პედაგოგებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, „ახალი სკოლის მოდელის“ ქოუჩებთან სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობას, რასაც ადასტურებს ურთიერთადსწრების ოქმები და პედაგოგების ურთიერთანამშრომლობით შექმნილი დოკუმენტები. სკოლაში არის მაგალითი სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგის გადაკვალიფიცირების-სკოლას არ ჰყავდა ინგლისურის მასწავლებელი და დაწყებითის პედაგოგი სკოლის ხელშეწყობით გადამზადებული იქნა და ამ ეტაპზე მას წამყვანის სტატუსიც მიიღო.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის გამოხატავს მზაობას ხელი შეუწყოს მასწავლებლის კარიერულ ზრდას. სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში. ადმინისტრაციამ წარმოადგინა სკოლის პედაგოგების სხვადასხვა ტრენინგებზე (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და სხვ), კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(ცნობები, სერტიფიკატები).სკოლა ჩართული იყო პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში", რამაც მნიშვნელოვნა განავითარა პედაგოგების პროფესიული შესაძლებლობები და მისცა მათ საშუალება კარიერული ზრდისთვის. სკოლას ჰყავს 1 წამყვანი და ერთი მენტორი პედაგოგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლა ზრუნავს თანამშრომლის ინტეგრაციაზე - მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია: თანამშრომელს აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს; განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას; აცნობს უსაფრთხოების წესებს. სამუშაო გარემოსთან თანამშრომლობის იტეგრაციის მექანიზმად შეიძლება მოვიაზროთ სკოლის სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია. სკოლაში არსებობს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზები (დახურული ჯგუფები, ელექტრონული ჟურნალი და სხვ.) რომელთა შესახებ ხდება ინფორმაციის მიწოდება, მოსწავლეებისთვის წარდგენა, სამუშაო წესების, პროცედურებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაცნობა. და სხვ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. თუ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან

მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას.

სკოლის შვიდი კათედრა ურთიერთთანამშრომლობით არეგულირებს პედაგოგების პროფესიული განვითარებას. ინტერვიუირების დროს დაასახელდა არაერთი პროექტი, რომელიც მოსწავლის იდეით თუ მასწავლებლის ინიციატივით იყო წამოწყებული. ამ პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში განხორციელება სკოლის მხრიდან გაწეულ მხარდაჭერაზე მიუთითებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა , სასკოლო სასწავლო გეგმა

[i]შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიასა და მიზნებს. სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“არეგულირებს სკოლის სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს, როგორიცაა სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მისი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა.

თემთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის გააქტიურდება თითოეული კლასის მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობა სოციალური ქსელის მეშვეობით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა ზრუნავს საზოგადოების (მშობლების, სამინისტროს) დაკვეთის მაქსიმალურად ხარისხიანად დაკმაყოფილებაზე. სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს სათანადო ხარისხის სასწავლო კურიკულუმის მიწოდება მოსწავლეებისთვის; შედეგად, ცდილობს მოიპოვის და შეინარჩუნოს დაინტერესებული მხარეების (მშობლებისა და მოსწავლეების) ნდობა, კეთილგანწყობა, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება სკოლაში ზემოთაღნიშნულ მიდგომასთან შესაბამებული და საჯაროდ გამოქვეყნებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ საფუძველზე. სკოლის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლის აქტივობები ზიარდება სკოლის Facebook გვერდზე „ზოტის საჯარო სკოლა“ ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის შექმნილია დახურული საკლასო

ჯგუფები, რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. ამ ჯგუფების არსებობამ ძალიან გაადვილა სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია.

სკოლა აქტიურად იყენებს Teams-ის ჯგუფებს მოსწავლეებისათვის დავალებების გასაგზავნად, შესაფასებლად, უკუკავშირების გასაგზავნად, მშობელთა კრებების ჩასატარებლად ან ინდივიდუალური შეხვედრებისათვის. სკოლაში არის შენობაში შემოსული პირებისათვის საინფორმაციო დაფები: ადმინისტრაციისათვის და მასწავლებლებისათვის, ცალკე მოსწავლეებისათვის, სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შია დოკუმენტით(დირექტორის ბრძანებით N2-20. 09.09.2023 დამტკიცებული „განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი“) სამეურვეო საბჭო განიხილავს გარედან შემოსულ საჩივრებს ან დისციპლინარული კომიტეტის მიღებული გადაწყვეტილებებზე საჩივრებს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მშობლებისა და მოსწავლეების, მასწავლებლების განცხადებებს. მშობლების საშუალება აქვთ სემესტრული ნიშნის უკმაყოფილების შემთხვევაში მიმართოს დირექტორს და ინიშნება სემესტრული ნიშნის ამაღლების გამოცდა. თანამშრომლებს სკოლის დირექტორის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში საქალაქო სასამართლოში შეუძლიათ, თუ საქმე ეხება შრომითი ურთიერთობას. დანარჩენი საკითხები ჯერ განიხილება დირექტორთან, შემდეგ დისციპლინარულზე და უკიდურეს შემთხვევაში სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. საჩივრების განხილვისას სკოლა სარგებლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2005 წლის 15 სექტემბერს N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდებთ“(მუხლი 15 მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა საჩივრის განხილვის წესი)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ისინი გაწერილია შინაგანაწესში, სკოლის წესდებაში, თანამშრომლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო,

რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით(სკოლის დირექტორის ბრძანება N2-34. 15.10,1013)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი:ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა სკოლის დირექტორის ბრძანება N2-34. 15.10,1013 მასწ.ხელშეკრულება, მშობელთა კრების ოქმი 2022, მშობლებთან ხელშეკრულება, შინაგანაწესი, -ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლაში მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება, სოციალური ქსელების მეშვეობით, მშობელთა კრებებზე სადამრიგებლო პროგრამებიდან გამომდინარე. სასკოლო საზოგადოების წინადადებების, უკუკავშირს საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება რეაგირებაც. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტებს მუშაობის პროცესში ხშირად სჭირდება ცვლილებებს შეტანა, რადგან სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და ითვალისწინებს სკოლის, მოსწავლეების, თანამშრომლების, გარემოს არაერთგვაროვან მოთხოვნებს, შეხედულებებს, პრაქტიკას. ყველა დებულებას/დოკუმენტს აქვს მუხლი ცვლილებების შემუშავებისა და შეტანის პროცედურების შესახებ. დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე ცვლილების ჯგუფი(სკოლის დირექტორი, მოადგილე, ბიბლიოთეკარი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი მოსწავლე, პედაგოგი და სხვ) განიხილავს ცვლილებებს

საჭიროებისამებრ, გააქვს ეს ცვლილები სამეურვეო, პედაგოგიურ, მრჩეველთა საბჭოებზე, მოსწავლეთა თვითმმართველობაში, მშობელთა კრებებზე გასაცნობად, განსახილველად ან დასამტკიცებლად, რაც დასტურდება ოქმებით. შესაბამისი დოკუმენტი პროექტის ან საბოლოო სახით გამოიფინება თვალსაჩინო ადგილზე -განცხადებების დაფაზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, უზრუნველყოფენ სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრების ყველა პროცესში. სკოლაში ხშირად ტარდება მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებები, შეხვედრები, კრებები. სწავლის პროცესის, შეფასებისა და სკოლის გარემოს მოწყობის შესახებ. ამ ჩართულობის შედეგად დაიგეგმა არაერთი პროექტი და ღონისძიება. მაგ. პროექტი“მე, აქტიური მოქალაქე“, „ახალგაზრდული სივრცე“, მშობელთა ჩართულობით ხდება ზამთრის სეზონზე გადმოთოვლა, გზების გაწმენდა. სკოლის და სასოფლო თემის თანამშრომლობით ერთობლივად გადაწყდა სოფლის ნაგვის ყუთებით უზრუნველყოფა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 3.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი: მშობლებთან ხელშეკრულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, შინაგანაწესი, N37 დანართი პედსაბჭოს ოქმი დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შესახებ,

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და კვალიფიკაცია. დარაჯები(2) უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას, სკოლაში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი. სკოლას არ ყავს **ექიმი/ექთანი. გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე, მაგრამ კანდიდატები არ დარეგისტრირდნენ.** სკოლაში არის ექიმის ოთახი, სადაც დროებით ინახება პირველადი დახმარების მედიკამენტები და სოფლის ამბულატორიის კუთვნილი რესურსები და მუშაობს სოფლის ამბულატორიის ექთანი(ეს ფაქტი ადმინისტრაციამ აიხსნა სოფლის ამბულატორიის დაწვით) რაც დაუშვებელია და სკოლას მიეთითა ამ დარღვევის სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად. სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის და მოთავსებულია სკოლის ექიმის კაბინეტში. სკოლაში არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციების

მართვის გეგმა," რომელიც მხოლოდ კონკრეტულ საფრთხეს, „კოვიდ19"-ის მსოფლიო პანდემიის საფრთხეს შეეხება. საევაკუაციო გეგმები განთავსებულია ყველა სართულზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, ამ მიზნითაც სკოლის საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო. სკოლის დირექტორის N2-34 , 2019 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვსი მიზნით. ასევე, სკოლას განსაზღვრული ჰყავს დირექტორის ბრძანებით სასკოლო დროს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N2-04, 18.04.10) სკოლას აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

უნდა აღინიშნოს რომ სკოლამ ვერ წარმოგვიდგინა:

1. **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც უნდა იყოს შეთანხმებული შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან და ვერც წერილობითი მიმართვა წარმოადგინა.**

2.დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და არსებობის აღმოფხვრის შესახებ და ვერც წერილობითი მიმართვა წარმოადგინა.

3. დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, თუმცა წარმოადგინა მიმართვა ქუთაისის სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და ქ. ჩოხატაურის მერის სახელზე, რომლთაც სკოლა ითხოვს ამ მიმართულებით დახმარებას.

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ მ. ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით სკოლამ განსაზღვრა ვადები:

1. 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს მიერ დამტკიცებული სკოლის საგანგებო სიტუაცების მართვის გეგმა

2. 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს სასკოლო შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

3. 21.11.2023-21.11.2024 მოამზადოს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

4. 21.11.2023-21.12.2023 კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის წესით შეარჩიოს სკოლის ექიმი/ექთანი

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლაში დირექტორის ბრძანებით(N2-34 , 2019 წლის 19 სექტემბრის) შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც ზრუნავს სკოლაში უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და *კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს (დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი(ბრძანება N2-04, 18.04.10).* სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი მეტალოდეტექტორი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ჩატარების დროს სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით. სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. სკოლაში არის ექიმის ოთახი, სადაც დროებით ინახება პირველადი დახმარების მედიკამენტები და სოფლის ამბულატორიის კუთვნილი რესურსები და მუშაობს სოფლის ამბულატორიის ექთანი(ეს ფაქტი ადმინისტრაციამ აიხსნა სოფლის ამბულატორიის დაწვით) სკოლის შენობიდან უნდა იქნას გატანილი სამედიცინო ამბულატორია.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლაში კეთილგანწყობილი, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც იკითხება დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამიდან და დამრიგებლების პორტფოლიოებიდან. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2-02,16.01.2023) განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის(რეფერირების) პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის(ბრძანება N2-04, 18.04.10) ჩართულობით სკოლამ ჩაუტარა მოსწავლეებს გამოკითხვა, თუ რა პრობლემაზე სურდათ მათ მუშაობა. მოსწავლეების მოთხოვნით სკოლაში მოწვეული ჰყავდათ ფსიქოლოგი, რომელმაც საუბრები ჩაუტარა მოზარდებს გარდატეხის ასაკის თავისებურებებთან და სხვა მათთვის საჭირო თემებთან დაკავშირებით.

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას სკოლის სამი დამლაგებლის და სოციალურად დაუცველების სახელმწიფო პროგრამით გასაქმებული 10 პირის მიერ, რომლებიც ახდენენ სკოლის ტერიტორიის დასუფთავების, კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოებს; სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე მონიტორინგს აწარმოებს დირექტორი -ამ მიზნით ცალკე გამოყოფილი პირი(მნე, ექიმი/ექთანი) სკოლაში არ არის. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები ცალ-ცალკე ადაპტირებული, გოგონების, ვაჟების, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა. გათვალისწინებულია სანიტარული კვანძები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. კონკრეტულად: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ყუთი (უკონტაქტო). სანიტარული კვანძები აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციით. სკოლაში სასმელად გამოყენებულია წყაროს წყალი, რომელსაც სპეციალური ფილტრით ასუფთავებენ. სკოლას გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები, რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი - პერსონალური მონაცემების დაცვაზე აქცენტია გაკეთებული მოსწავლეთა მშობლებთან სკოლის ხელშეკრულებებში. ასევე, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის 2023 წლის12 სექტემბერს N2-34 ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი „სსიპ მურტაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა

დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. დოკუმენტში დაწვრილებითაა გაწერილი: მონაცემთა დაცვის პრინციპები, თანამშრომელთა, მოსწავლეთა, მშობლების, ვიზიტორების შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მატერიალური და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, ელექტრონული ბაზის წარმოებისას.

დოკუმენტით განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება (მუხლი 14.): ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ: სკოლის დირექტორს და საქმისმწარმოებლს.

დოკუმენტში ლაპარაკია ასევე მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობაზე და ვალდებულებაზე დაიცვან პერსონალური მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6. *სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი და პერსონალის მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ინტერნეტი ცენტრალიზირებულად იმართება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.* სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლა მუდმივად ახორციელებს დასაქმებულ პირთა პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლეებისა და მშობლების მშობელთა კრებებზე, თუ სადამრიგებლო საათების ფარგლებში ინფორმირებას ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

7.დაწესებულებამ პერიოდულად უნდა შეაფასოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობა მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, მათი გაუმჯობესების მიზნით. სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმში“ (მუხლი 17. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი) აღნიშნულია, რომ სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად უნდა განხორციელდეს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ, თუმცა ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები სკოლამ ვერ წარმოადგინა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 4.1.7. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები , დირექტორის ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე“, ბრძანება-უსაფრთხოებაზე პასუხისმგე3ბელი პირები, ბრძანება 2-34 მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ,

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლას გააჩნია 200 მოსწავლეზე გათვლილი ახლადაშენებული (2017 წელს ააშენა სსიპ საგნმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ)კორპუსი - საკადასტრო კოდი 28.23.21.036, შენობის ფართია - 579, 2 კვ.მ სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. სკოლაში სწავლობს 117 მოსწავლე, პერსონალი შეადგენს 28 პირს. შენობა ორსართულიანია(სარდაფით), აქვს სამი გამოსასვლელი. პირველ სართულზე სამი, მეორეზე ერთი. შენობა უზრუნველყოფილია დენითა და წყალმომარაგებით. სკოლას აქვს ეზო, რომელიც ნაწილობრივ შემოფარგლულია რკინის ღობით. ეზოს ფართობია 5755 კვ.მ. ეზოში არის სხვა შენობა–ნაგებობები.

კერძოდ, საქვაბე და სადაწნეო წყლის კოშკი. სკოლას გააჩნია კიდევ ერთი ხის ორსართულიანი კორპუსი სადაც განთავსებულია ბიბლიოთეკა და სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების საცავი.

სკოლის ძირითადი კორპუსი სრულად რეაბილიტირებული, უზრუნველყოფილია ახალი ავეჯით განათლების სამინისტროდან, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით აღჭურვილი სველი წერტილები, დახურული და ღია სარეკრეაციო სივრცე.

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი და რესურსოთახი. სპორტის გაკვეთილები და სპორტული ღონისძიებების ნაწილი ტარდება სკოლის სარდაფში, სკოლის უკან ეზოში(უსწორმასწორო, დამრეცი ზედაპირით) და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ კეთილმოწყობილ, ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანზე. შესაძლებელია მიმდებარე სპორტული მოედანი თემთან მოლაპარაკების გზით სკოლას გადაეცეს რაც ვურჩიეთ სკოლას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.1. სტანდარტს არ შეესაბამება.

2.სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია პერსონალური კომპიუტერებით, პრინტერებითა და პროექტორებით სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ მუშაობა, მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სამასწავლებლოში განლაგებულია სამუშაო მაგიდები, რესურსებისთვის კარადები და ლეპტოპები.

სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. არსებობს მკითხველთა დარბაზი, სადაც განთავსებულია საკატალოგო და საენციკლოპედიო მასალები, მეთოდური ლიტერატურა. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „ბიბლიოთეკის დებულება“ რომლის თანახმადაც ხდება საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, რაც დასტურდება სასკოლო შენობის კარგი მდგომარეობით. საკალასო ოთახები ნათელია, ფართო. კედლებზე გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, ფოტოები, ნახატები. შენობაში არის ადაპტირებული საპირფარეშოები, ძირითად შენობას აქვს პანდუსი. პირველ სართულზე არის ფართო გადაადგილების სივრცე, თუმცა შშმ პირებს არ შეუძლიათ თავისუფლად სარგებლობა ბიბლიოთკით, კომპიუტერული

ლაბორატორიით,რადგან ისინი მეორე სართულზეა განთავსებული. **შენობას სადაც ბიბლიოთეკაა პანდუსი არ აქვს.** სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოთქვა მზაობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში:

1. 2024 წლის 22 ნოემბრამდე მოამზადოს რესურსოთახი

2. 2024 წლის 22 ნოემბრამდე უზრუნველყოს პანდუსით შენობა, სადაც სასკოლო ბიბლიოთეკაა განთავსებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.3. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

4. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეებს ჰქონდეს აღჭურვილი სოციო-კულტურული სივრცეები. სკოლაში არ არის სააქტო დარბაზი, თუმც არის საკლასო ოთახები, რომელშიც ტარდება პედაგოგიური საბჭოები, მშობელთა სათათბიროს კრებები, ტრენინგები, სხვადასხვა ღონისძიებები, გამოფენები, პროექტების პრეზენტაციები და სხვადასხვა თემატური ღონისძიებები, სკოლაში ბიბლიოთეკასთან ფუნქციონირებს სამკითხველო, მეთოდური ლიტერატურა, ატლასები და კლასიკური ლიტერატურა. ბიბლიოთეკის სივრცე ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის, განკუთვნილია როგორც ღონისძიებებისათვის, ასევე კლუბური მუშაობისათვის. სკოლის შენობისმეორე სართულზე არის სარეკრეაციო ზონა, რომელსაც სკოლა იყენებს გამოფენების, სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად. აქ მოთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო დაფები. სკოლაში არის მოსწავლეთა ძალებით მრავალწლოვანი ნარგავებით გამწვანებული ეზო.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის მიერ დადგენილი წესი უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსების სისტემატიზაციას და განახლებას სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს სივრცეს დამოუკიდებელი და ჯგუფური მეცადინეობებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები რეგულირდება „ბიბლიოთეკის დებულებით“ საქართველოს კანონის, სკოლის წესდებისა და ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურით კომპიუტერი, პრინტერი და პროექტორი, რაზეც სკოლის ყურადღება გამახვილდა. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა არის ხელმისაწვდომი ბეჭდური სახით სკოლის ბიბლიოთეკაში, ასევე

დასაშვებია თავისუფალი წვდომის რეჟიმში არსებული, ინტერნეტ სივრცეში განთავსებული რესურსების გამოყენება, შესაბამისი ბმულების (ინტერნეტ- მისამართების მითითებით). სკოლა გრიფირებული სახელმძღვანელოს შერჩევას ახორციელებს შესაბამისი საგნობრივი კათედრის მიერ. ბიბლიოთეკა მომარაგებულია სახელმძღვანელოების შესაბამისი რაოდენობით. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და ცარცით. სკოლაში არის კომპიუტერული ოთახი, პრინტერებითა და პროექტორებით. სკოლა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის, წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის სისტემა თხევად საწვავზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 5.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები: შენობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის წერილი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, აზომვითი ნახაზი, N59 სკოლის კორპუსის აზომვითი ნახაზი, ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, როგორც ადმინისტრაციული საქმიანობის, ასევე სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფილია კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა მისი მცირე ფართი (დაახლოებით 12 კვ.მ.) ვერ აკმაყოფილებს კლასში საშუალოდ მოსწვლეთა რაოდენობას, ამიტომ სკოლა გეგმავს კომპიუტერული ლაბორატორიის გაფართოებას. აქ განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები, პროექტორი, 5 პერსონალური კომპიუტერი და 14 ლეპტოპი: სკოლაში არის 2 ერთეული პროექტორი, 4 პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქ არის უკაბელო ინტერნეტი (Wi- Fi). მასწავლებლებლებს, მოსწავლეებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ინტერნეტით სარგებლობა შეუძლია სკოლის შენობის ნებისმიერ სივრცეში, ყველა საკლასო ოთახში. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის წარმართვას, რომლებიც პასუხობს როგორც სწავლა- სწავლების, ასევე სკოლაში არსებულ ადმინისტრაციულ პროცესების მართვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლეს გააჩნია სახელმწიფოს მიერ საჩუქრად გადაცემული „ბუკი“, ხოლო მასწავლებლებს ლეპტოპები.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის და სკოლის ადმინისტრაციის წევრებისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3. 6.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

ფოტოები -ინფრასტრუქტურა,

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი - საჯარო სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისი №414 ბრძანებულება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ და სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის დირექტორის N2-38, 11.09.2023 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესის“ შესაბამისად.

2. სსიპ მურთაზ ირემაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის მართვა ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიებით, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow, eschool) საშუალებით, აქვს ელექტრონული ფოსტა, იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალებს და ელექტრონულ საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებებს. სკოლის ჰყავს საქმის მწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებზე, დოკუმენტების ფორმებზე და ტიპებზე, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტირირებაზე, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესის დაცვაზე, დოკუმენტების შედგენაზე, გაფორმებაზე, დავალებების შესრულების კონტროლზე და გაგზავნაზე, ინფორმაციის გაცემის წესზე, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვაზე. საქმისმწარმოებელი ვალდებულია მიიღოს და გააგზავნოს კორესპოდენციები სკოლის ელექტრონული ფოსტით zoti@mes.gov.ge. უზრუნველყოს მუშაობა Eschool.emis.ge-ში. სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის

აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები.ხელშეკრულებების სააღრუცხვო ჯურნალი სკოლამ ვერ წარმოადგინა.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.1. სტანდარტს შეესაბამება,

2. სკოლის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კერძოდ ელექტრონულად ხდება საქმისწარმოება, eflow სისტემით, სკოლა სარგებლობს ელექტრონული ფოსტით zoti@mes.gov.ge, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დოკუმენტ ბრუნვა მიმდინარეობს პრიორიტეტულად ელექტრონულად, ანუ თანამშრომლები იყენებენ შიდა ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის პლატფორმას eflows ანგარიშების, ოქმების, აქტების, განცხადებების ადმინისტრაციაში წარსადგენად.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.2. სტანდარტს შეესაბამება,

3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ის პლატფორმაზე სკოლის გვერდზე სრული წვდომა აქვს სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს და დირექტორის მოადგილეს. ბუღალტერს წვდომა აქვს მხოლოდ საშტატო განრიგის მონაცემებთან. მობილობის, კლასის დონის დაძლევის, კლასის დამრიგებლებს აქვთ, როგორც ყველა მასწავლებლებს, თავისი პირადი პროფესიული პორტფელიოსთან და ასევე სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების პირად ინფორმაციასთან. და ვალდებული არიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები მათ პირად მონაცემებში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.3. სტანდარტს შეესაბამება,

4.„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორს ეკისრება ვალდებულება ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარსდგეს და გააცნოს ანგარიში ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო

პროცესის შესახებ. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკუთარი ანგარიშით წარსდგება სკოლის სამეურვეო საბჭოს წინაშე და აბარებს როგორც ფინანსურ, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს. სკოლაში ადგილზე იქნა წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენი ფინანსური დოკუმენტები (კვარტალური და წლიური ბალანსები და სხვ.)

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.6.2.4. სტანდარტს შეესაბამება,

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი თანამშრ.ხელშეკრულება, ბრძანება საქმისწარმოების განსხვავებული წესი საქმისწარმოების დანართი ბიუჯეტის შესრულებისა და დამტკიცების შესახებ ოქმი , ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის) ანგარიში ფინანსური.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და მისი ინფორმირებულობის მიზნით სკოლას აქვს შექმნილი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ზე „ზოტის საჯარო სკოლა“ (https://www.facebook.com/profile.php?id=100035869384631)სადაც იტვირთება მიმდინარე სიახლეები, კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალა; სასკოლო და სასწავლო პროექტები. სადაც აქტიურად იტვირთება სკოლაში მიმდინარე აქტივობები. ინფორმაციის გაცვლისათვის, შეტყობინების გაგზავნისათვის და სწრაფი რეაგირებისათვის სკოლა იყენებს TEAMS-ის პლატფორმას. სკოლის შენობაში განთავსებულია საინფორმაციო დაფები სადაც ქვეყნდება შესაბამისი სიახლეები, კონკურსები, განცხადებები. სკოლა იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად ელექტრონულ ფოსტას (zoti@mes.gov.ge). მშობლებს საშუალება აქვთ გაეცნონ შვილის ყოველდღიური შეფასების დინამიკას ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. სკოლას არ აქვს ვებგვერდი. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოთქვა მზაობა ჩაატაროს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2. *სკოლა არ ავრცელებს გადაუმოწმებელ, არასწორ, შეცდომაში შემყვან მასალებს. ინფორმაციის გავრცელების მიზნით იყენებს სკოლის განცხადებების დაფას, ელფოსტას(zoti@mes.gov.ge) დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას(eflow) ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით (წერილის ნომრის მითითებით, კონკრეტული ორგანიზაციის დასახელებით). ამ*

წყაროებით ინფორმაციის გავრცელებაზე სკოლას ჰყავს დანიშნული პასუხისმგებელი პირი სასკოლო დოკუმენტის „საქმისწარმოების წესის„ შესაბამისად, რომელიც პაასუხისმგებელია გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. თიმსის პლატფორმის საგნობრივ გვერდებზე და ელექტრონულ ჟურნალის საგნობრივი სექტორების წარმოებაზე კი პედაგოგები, დამრიგებლები არიან პასუხისმგებელი. სკოლა სარგებლობს ასევე სოციალური ქსელით „ფეისბუქი". პედაგოგთა თქმით, მის გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.2. სტანდარტს შეესაბამება.

3. სკოლა საკომუნიკაციო არხებიდან იყენებს ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელს - Facebook გვერდს, მშობელთა კრებებს და სხვ. აქ შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგები მათი სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება სკოლის საქმიანობის შეფასების/თვითშეფასებისა და განვითარების ღონისძიებათა დაგეგმვისას. უკუკავშირების, მოსაზრებების, რეკომენდაციების მიღებას და მთ ზე რეაგირებას სკოლა ახდენს მშობელთა კრებებზე, მოსწავლეებთა, პედაგოგებთან ჩატარებულ შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოებთან(მრჩეველთა საბჭო, პედსაბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვ).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტს შეესაბამება.

4. სკოლას არ აქვს შექმნილი ვებ გვერდი.სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოთქვა მზაობა ჩაატაროს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

5. სკოლას არ აქვს ვებგვერდი - სადაც განთავსებული უნდა იყოს სკოლის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია(მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა) ეს ინფორმაციები გამოფენილია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოთქვა მზაობა ჩაატაროს სკოლის ვებგვერდის შესაქმნელი ღონისძიებები (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა.) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2023 წლის 22 დეკემბრამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

N5 დანართი განცხადებების დაფა, N13 სკოლის დებულება, N30 დანართი მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცება და დანართი N1, N32 დანართი მშობლებთან ხელშეკრულება, N67 დანართი FB -სოცქსელზე გვერდი, N68 დანართი სამეურვეო საბჭოს არჩევნები, N161 დანართი სამოქალაქო კლუბი, N162 დანართი მოსწავლეთა კლუბი, N163 დანართი ზოტის სკოლის ფბ გვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ დოკუმენტებში წარმოადგინა ბიუჯეტი(სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული), რომელიც რაციონალურადაა დაგეგმილი(შემოსავალი აბალანსებს ხარჯებს). მისი მომზადებისას სკოლას განსაზღვრული აქვს სავარაუდო შემოსავლები, სავარაუდო ხარჯები, საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიურია. იგულისხმება, რომ შესაძლებელია, საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების შეტანა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლას გააჩნია შემოსავალი ძირითადად ვაუჩერული დაფინანსებიდან, მაგალითად 2023 წლის ბიუჯეტი ჯამურად განისაზღვრა 348 ათასი ლარით. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხმარდება შრომის (ხელფასები, თანამდებობრივი სარგო, სქემით განსაზღვრული სტატუსის დანამატები სულ 330 000 ლარი) ანაზღაურებას. ასევე, სკოლის ბიუჯეტიდან იფარება კომუნალური გადასახადები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ასევე, ხდება სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოფისე ნივთების შესყიდვა(საოფისე ინვენტარი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები და სხვა ანალოგიური მასალები). ამასთან ხდება გაუთვალისწინებელი ხარჯების გაღებაც, რომელთა დაფარვაც ხერხდება სკოლის მიერ მიღებული შემოსავლებიდან. სკოლის შემოსავლებით ხდება დასაქმებულების წახალისება - ბიუჯეტში გათვალისწინებულია პრემიების მუხლი. მაგალითად 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 5000 ლარი პრემია სკოლის თანამშრომელთა წახალისების მიზნით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.სკოლამ წარმოადგინა ფინანსური დოკუმენტაცია: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური და კვარტალური ბალანსები, რომლითაც ირკვევა რომ მას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. კანონმდებლობის შესაბამისად სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, რომელსაც აკეთებს სკოლის ბუღალტერი და წერილობით eflow-ის საშუალებით აწვდის დირექტორს. ყოველი კალენდარული წლის ათ დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნილ ვადებში წარუდგენს

ინფორმაციას ფინანსური რესურსების განკარგვისა და მოძრაობის შესახებ. სამეურვეო საბჭოს ოქმით დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს იმ სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების ნაწილის შეთანხმება და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბიუჯეტის შესრულებისა და დამტკიცების შესახებ ოქმი, ანგარიში სასწავლო (10 დეკემბრის), ფინანსური, 2023 წლის ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს ქვეყნის კანონმდებლობით და შიდასასკოლო ნორმატიული აქტებით: სკოლის დირექტორის მიერ შემუშავებული და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმით“, „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტის საჯარო სკოლის წესდებით“, ზემოთ ჩამოთვლილ აქტებში არის მუხლები-სკოლის წესდება- მუხლი 15, შინაგანაწესი -მუხლი 22, რომლებიც არეგულირებენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და უზრუნველყოფს მათ გარანტიებს, ასევე განთავსებულია ინფორმაცია მოსწავლისა და მასწავლებლის/თანამშრომლის არასათანადო ქცევების სახეების, დისციპლინური წარმოების წესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების შესახებ. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. სკოლაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის 1 პედაგოგი, 1 მშობელი და 1 საშუალო საფეხურის მოსწავლე. მოსწავლეებს/ მშობლებს უფლება აქვთ მიმართონ დისციპლინარულ კომიტეტს, მათი უფლებების დარღვევის შემთხვევებში. შესაბამისად სკოლა იღებს მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტილებას. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა კანონის მიხედვით დამტკიცდებულია დირექტორის ბრძანებით.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.არსებული რეგულაციები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შინაგანაწესის გაცნობა, როგორც მშობლებისთვის ასევე მოსწავლეებისთვის ხდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებაზე. ასევე, როდესაც მშობელს შემოყავს მოსწავლე სკოლაში აწერს ხელს მშობელსა და სკოლას შორის დადებულ ხელშეკრულებას, რითაც

ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის შინაგანაწესს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლას შექმნილი აქვს Facebook ჯგუფი (სქრინი) "ზოტის საჯარო სკოლა " სადაც მოსწავლეების მშობლებს აქვთ შესაძლებლობა მოსწავლეების უფლებების დაცვის მიზნით პირდაპირ ეკონტაქტონ სკოლის ადმინისტრაციას. აღნიშნულ გვერდს სკოლა ასევე იყენებს საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან სკოლა ყოველწლიურად აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ვადა ისაზღვრება მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე (მშობელთან ხელშეკრულება, მუხლი 6), ასევე ხელშეკრულების აღნიშნულმა მუხლმა დაარეგულირა ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძვლები. ხელშეკრულების შინაარსში გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონფიდენციალურობის საკითხიც. სექტემბრის თვეში პირველ მშობელთა კრებაზე კიდევ ერთხელ ხდება ხელშეკრულების შინაარსის გაცნობა და მშობელი ხელისმოწერით ადასტურებს თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე და სკოლის შინაგანაწესის გაცნობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ერთი ასლი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის წესდება

სკოლის შინაგანაწესი

სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი"

დისციპლინური კომიტეტის შექმნის ოქმი(N3)

4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს ჩამოყალიბებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში ხელმძღვანელობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების(2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანება), კანონით ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. ბრძანების (N04/ნ) "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად ითვალისწინებს კანონში მოცემულ ოპერირების გეგმას და დადგენილი ვადების გათვალისწინებით, ახორციელებს სათანადო მოკვლევასა და რეფერირებას. აღნიშნული კანონი გაზიარებულია კლასის დამრიგებელთათვის.

სკოლამ ადგილზე წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის ბრძანებები. მოსწავლის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შემთხვევები არ ჰქონიათ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა პროცედურის დაცვით, მობილობის სურვილის შემთხვევაში სკოლა პროცედურების განხორციელებს იწყებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საქმისწარმოების წესის დაცვით, ხორციელდება განცხადების განთავსება ელექტრონულ ბაზებში და გამშვები სკოლიდან მიღებული თანხმობის შემთხვევაში, პირადი საქმის მიღებისთანავე, ადმინისტრაციის მხრიდან იქმნება ბრძანება ჩარიცხვის შესახებ. სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების წინაპირობაა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მე-4 კლასის დასრულების შემდეგ, მშობლებს სთავაზობს მეორე უცხო ენის არჩევანს. უცხო ენის კათედრის წარმომადგენელები ხვდებიან შესაბამის კლასის მოსწავლეების მშობლებს, აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დანერგილი უცხო ენის პროგრამების შესახებ. მშობელი არჩევანს ადასტურებს განცხადებით ან დამრიგებელი წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას სამსახურეობრივ ბარათს, რის საფუძველზეც ხდება უცხო ენების განაყოფების დაკომპლექტება. სასწავლო სასკოლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რაც დატანილია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბი. მათ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია სკოლაში არსებული კათედრები. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრების მხრიდან პედაგოგიურ საბჭოზე ხორციელდება იმ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გაჟღერება, რომლის განხორციელება იგეგმება სასწავლო წელს. კათედრები წარადგენენ კლუბის დებულებასა და მუშაობის გეგმას. ინფორმაციის გასაჯაროება ხორციელდება დამრიგებლების მხრიდან მშობელთა კრებებზე, თავსდება საინფორმაციო დაფაზე და აღნიშნულ მომსახურებებში ჩართვა შეუძლია ყველა მოსწავლეს ინტერესისა და შესაძლებლობების მიხედვით, არის უფასო და ხელმისაწვდომია ყველასათვის

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.კლუბებისა და წრეების მუშაობის ამსახველი მასალები, სასკოლო კვლევები, სასკოლო და სასწავლო პროექტები, თვითმმართველობის საქმიანობა, მშობელთა კლუბის აქტივობები, სკოლაში არსებული მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია და სკოლა ინფორმაციის გასაჯაროებისათვის იყენებს facebook გვერდს „ზოტის საჯარო სკოლა"; აქ ფუნქციონირებს დახურული საკლასო ჯგუფები(„მესენჯერზე"), რომლებში გაერთიანებულია კონკრეტული კლასის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა ხშირად ახორციელებს მოსწავლეების მიღწევების, ნაშრომების, კომპლექსური დავალებების პროდუქტების გასაჯაროება. სხვადასხვა უწყებიდან მოწვეული სტუმრებთან, მშობლებთან, თემის წარმომადგენლებთან, დაინტერესებული პირებთან, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სკოლაში არსებულ წარმატებულ პრაქტიკას, ინფორმაცია მიეღონ თავად მოსწავლეებისგან.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართები: მშობლებთან ხელშეკრულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით: სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა ემზადება მოსწავლეთა დასახვედრად. სასწავლო წლის დაწყებამდე ხდება მშობლის ინფორმირება საგნის მასწავლებლებისა და დამრიგებლების შესახებ. პირველკლასელთა მიღებისათვის ეწყობა ღია კარის დღეები და ურიგდებათ სამახსოვრო საჩუქრები. ხდება პირველკლასელთათვის სასკოლო გარემოსა და დამრიგებლის გაცნობა. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თანაკლასელებს, კლასის მასწავლებლებს, თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, უზრუნელყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა არის ახლად აშენებული. აქვს ადაპტირებული შესასვლელი, საპირფარეშოები. სკოლაში გამოიყენება მოსწავლის ასაკის შესაბამისის ავეჯი. არსებობს შიდა სარეკრეაციო და სამკითხველო სივრცეები, ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლას გააჩნია მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს და Teams-ის პლატფორმას. სკოლა პროგრამა „ახალი სკოლის მოდელში „ იყო ჩართული და ახალი ესგ-ს შესაბამისად მასწავლებლები ყოველი კომპლექსური დავალების შესრულებისას აძლევენ კონსტრუქციულ უკუკავშირს ყველა მოსწავლეს.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება.

4.სასკოლოს სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან - დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში. სსგ გამოფენილია ფოიეში საინფორმაციო დაფაზე.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება.

5.სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს არაფორმალური სასწავლო აქტივობების საშუალებით მოსწავლეთა წახალისებას. სკოლის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს არაფორმალური განათლების მხარდაჭერა. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლაში ფუნქციონირებდა კლუბები (ეკოკლუბი, მუსიკის კლუბი,სამოქალაქო განათლების კლუბი და სხვ) ხორციელდება პროექტები, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი აქტივობები. ადმინისტრაცია ახალისებს მათ ინიციატივებს. ტრადიციულად, სკოლის თვითმართველობა აწყობს საახალწლო კარნავალს, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებლები/მშობლები. სკოლა 2021-2022 სასწავლო წელს ჩაერთო „ეკო-სკოლების საერთაშორისო პროგრამაში“ - რომელიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან და ხელს უწყობს განათლებას მდგრადი განვითარებისათვის. პროგრამის მთავარი მიზანია სკოლებმა, თავიანთი წვლილი შეიტანონ გარემოს გაჯანსაღების საქმეში და აღზარდონ გარემოსადმი პასუხისმგებლობით აღსავსე თაობა. სკოლის მნიშვნელოვანი პროექტია „ახალგაზრდული სივრცე ზოტში“, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეების ჩართვა საზოგადოების და თემის განვითარებაში. „ჩვენ ტოლერანტები“, „როგორ და რატომ უნდა დავზოგოთ“, „იყავი მეწარმე“ და სხვა პროექტები სკოლის პედაგოგების

მხარდაჭერით მოსწავლეთა მრავალფეროვანი ინიციატივების განხორციელებაა. სკოლის პედაგოგმა(ნ. ირემაძე), პროექტ „ჯუნიორ ეჩივმენთის“ დაფინანსებით ტრენინგები ჩაუტარა სკოლის მოსწავლეებს და ჩართო ისინი სამეწარმეო საქმიანობაში. პროექტის ფარგლებში რამდენიმე უფროსკასელ მოსწავლეს დაუფინანსდა საწარმო(ინკუბატორი, სალონი და სხვ.)

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება.

6.მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. ამის დასტურია მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ წამოყენებული ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელებაში დახმარება, რომელიც სკოლაში განსაკუთრებით ეფექტურად სამეწარმეო კომპეტენციის ამაღლების მიმართულებით განვითარდა.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი : ხელშეკრულება ნ.ირემაძესთან „იყავი მეწარმე“მშობლებთან ხელშეკრულება მოსწავლეთა , თვითმმართველობის ოქმები ტაბელი დასკანერებული, მშობელთა კრების ოქმი , არაფორმალური განათლება- შეხვედრა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან კლასის სადამრიგ.ანგარიში სასკოლო ლიტერატურული კლუბი

სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა გეგმავს და ახორციელებს ვიზიტებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასევე მასპინძლობს სხვადასხვა კოლეჯების და დაწესებულებების წარმომადგენლებს, უწყებებს რომლებიც აცნობენ მოზარდებს იმ შესაძლებლობებს, რასაც მათი სასწავლებლები თავაზობენ. მაგ. სკოლაში მოეწყო შეხვედრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებმაც გააცნეს მოსწავლეებს ქართული ჯარის შესახებ ინფორმაცია. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქ. ოზურგეთის პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტთან“, რომელიც მოსწავლეებთან ატარებს შეხვედრას და აცნობს სხვადასხვა პროფესიებს (რეინჯერი, სატყეო საქმე), მიჰყავთ მოსწავლეები კოლეჯში და უტარებენ შეხვედრებს. მათივე ინიციატივით მოხდა ნარგავების შესყიდვა და სკოლის მოსწავლეებთან ერთად დარგვა. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა სამეწარმეო კომპეტენციის განვიტარებაზე, მათ მომავალ დასაქმებაზე.სკოლის პედაგოგმა(ნ. ირემაძე), პროექტ „ჯუნიორ ეჩივმენთის“ დაფინანსებით ტრენინგები ჩაუტარა სკოლის მოსწავლეებს და ჩართო ისინი სამეწარმეო საქმიანობაში. პროექტის ფარგლებში რამდენიმე უფროსკასელ მოსწავლეს დაუფინანსდა საწარმო(ინკუბატორი, სალონი და სხვ.)

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება.

2. სკოლა მუდმივად ცდილობს, მიაწოდოს მოსწავლეებს და მათ კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ორი წელია მონაწილეობას ღებულობს პროექტში „იყავი მეწარმე“. რამოდენიმე მოსწავლემ ამ პროექტის ფარგლებში მიიღო დაფინანსება საკუთარი ბიზნეს იდეის განსახორციელებლად(სტილისტი, ფრინველების ინკუბატორი და სხვ). ტარდება სადამრიგებლო საათები, ხორციელდება გასვლითი ექსკურსიები, სკოლის facebook გვერდზე ინფორმაციის განთავსება . სკოლაში სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ ვიზიტს, სადაც იწვევენ მოსწავლეების გარდა მშობლებსაც. გადასცემენ მათ საინფორმაციო ბროშურებს და პროფესიების ჩამონათვალს რასაც სთავაზობს მათ აღნიშნული სასწავლებელი.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ

მოსწავლეები დასახულ მიზანებს, აბარებენ წარმატებით მისაღებ გამოცდებს, არიან წარმატებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სკოლა იკვლევს თუ რა პროფესიას უნდა დაეუფლოს მოზარდი, რომ მან შეძლოს თავის დამკვიდრება თავისსავე სოფელში. ამით ეხმარება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით მომავალი პროფესიის არჩევაში.

აღნიშნულიდან დამომდინარე ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

N171 დანართი-სკოლაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტუმრობა-ფოტოებიN172 დანართი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიN173 დანართი პროფორიენტაცია და არაფორმალური განათლება

4.2.2. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული არ აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი, რაც დასტურდება შემდეგით: სკოლაში ერთი სპეციალური მასწავლებელია(პრაქტიკოსი) შერჩეულია კონკურსით. სკოლაში არის ერთი სსსმ მოსწავლე. **სპეცმასწავლებელმა ვერ წარმოადგინა მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა და სამუშაო მიმართულება, სკოლაში არ აღმოჩნდა ისგ ჯგუფის შექმნისა და მუშაობის დამადასტურებელი ოქმები, სკოლის დირექტორის ბრძანებით არ შექმნილა ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სკოლამ გამოთქვა მზაობა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში 2024 წლის 11 ნოემბრამდე უზრუნველყოს სსსსმ**

მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმის კომპონენტების შემუშავება (მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმა, ისგ ჯგუფის შექმნა, ინკლუზიური განათლების გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რესურსოთახის მოწყობა)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლაში ირიცხება 1 სსსმ მოსწავლე. მისთვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვითა და ვადაში არ შემუშავებულა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი. სკოლაში ვერ წარმოგვიდგინეს ინდივიდუალური გეგმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.3.2. სტანდარტს არ შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2.3. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.*

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა სთვაზობს 2 კმ-ზე მეტ მანძილით დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. სულ ხორციელდება 5 მარშრუტი „ლობოროტი-ზოტის საჯარო სკოლა“ და „თეთრი ღელე-ზოტის საჯარო სკოლა“, „ნადაბური-ზოტის საჯარო სკოლა“, „ქვედა ზოტი-ზოტის საჯარო სკოლა“, „პაქსაძეების უბანი-ზოტის საჯარო სკოლა“ ამ მომსახურებას ეწევა ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელსაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან უფორმდება ხელშეკრულება. (იხ. დანართი ტრანსპორტირების ტაბელი). ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობს სულ 86 მოსწავლე. სკოლას ბრძანებით(N2-38, 24.10.23) ჰყავს განსაზღვრული ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება.

2.ტრანსპორტით მომსახურეობა. ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო საზოგადოებას, მშობლებს მიეწოდება ინფორმაცია სატრანსპორტო მომსახურების განხორციელების შესახებ. სკოლა ადგენს მოსწავლეთა საცხოვრებლის ადგილმდებარეობების მიხედვით მარშრუტებს და აუწყებს მერიას საჭირო სატრანსპორტო მომსახურების მოცულობის თაობაზე. სკოლას ბრძანებით(N2-38, 24.10.23) ჰყავს განსაზღვრული ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება.

3.სკოლაში განხორციელებული მოსწავლეთა ტრანსპორტირების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ენიჭება მუნიციპალიტეტის მერიას.სკოლას ბრძანებით(N2-38, 24.10.23) ჰყავს განსაზღვრული ტრანსპორტის მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ტაბელის ნიმუშები დასკანერებული, დირექტორის ბრძანება ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამ

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი-დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, პრიორიტეტები. მასწავლებლები ერთობლივად ადგენენ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, გამოყოფენ პრიორიტეტულ საკითხებს, მშობლებს აქტიურად რთავენ სასკოლო პროექტებში, ღონისძიებებში და სხვადასხვა აქტივობაში, უგზავნიან კომპლექსური დავალებების ბარათებს, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე გასული სასწავლო წლის რეფლექსიების გათვალისწინებით შეიმუშავებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს, რომელსაც უგზავნიან ადმინისტრაციას, მშობლებსა და მოსწავლეებს, მათგან მიღებული უკუკავშირით შეაქვთ ცვლილებები და ქმნიან კურიკულუმის საბოლოო ვარიანტს. მოწოდებულ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოდ, რომ საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ისინი გამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად ადგენენ მოსწავლისა და მშობლის ინტერესებს და მათი უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ განსახორციელებელ აქტივობებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი იქმნება სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს/მოსწავლეებს აცნობს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს, შემდეგ გამოიკითხავს

მშობლებსა და მოსწავლეებს, მათი უკუკავშირის გათვალისწინებით გეგმავს სასწავლო პროცესს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის უშუალო დაგეგმვაში. აგრეთვე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასახულია მშობელთა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები მოსწავლეთა შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, დაწყებითი კლასების კათედრის წევრები ერთად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ თემებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მშობლებს კრებებზე აცნობენ კურიკულუმებს, შეფასების ტიპებსა და რუბრიკებს, ასევე, აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. კურიკულუმების საბოლოო ვერსია განიხილება ადმინისტრაციასთან ერთად. სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კლასების მასწავლებლების მიერ ჩატარებული წლის ანგარიშების გათვალისწინებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები მომავალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, დაწყებითი კლასების კათედრის წევრები ერთად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ თემებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მშობლებს კრებებზე აცნობენ კურიკულუმებს, შეფასების ტიპებსა და რუბრიკებს, ასევე, აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. კურიკულუმების საბოლოო ვერსია განიხილება ადმინისტრაციასთან ერთად. სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კლასების მასწავლებლების მიერ ჩატარებული წლის ანგარიშების გათვალისწინებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები მომავალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, დაწყებითების კათედრებზე შემუშავებული კურუკულუმი სხვადასხვა საშუალებით განიხილება სასკოლო საზოგადოებაში, სასწავლო წლის დასაწყისში საგნის მასწავლებლები მოსწავლეებსა და მშობლებს უგზავნიან კომპლექსური დავალებების ბარათებს. აქტიურად გამოიყენება სკოლის ფეისბუქგვერდი, მესენჯერში შექმნილია კლასის ჯგუფები. კურიკულუმები და სხვა მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგნობრივი კურიკულუმი

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობას. კურიკულუმები გაწერილია კონსტრუქტივივისტური პრინციპების საფუძველზე და ეყრდნობა წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების ანალიზს, ასევე, მოსწავლეთა წინარე გამოცდილებას.მათემატიკის დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით; წარმოდგენილია ყველა კლასის კურიკულუმები, პირველ და მეორე კლასებში თითო თემა იყო წარმოდგენილი, რაც ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა ახსნეს იმით, რომ ელოდებოდნენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შერჩევისთანავე, მათ შეძლეს ზემოთაღნიშნული კლასებისთვის კურიკულუმების ჩამოტვირთვა და მისი მორგება სკოლაზე. ხოლო 3-6 კლასებში ყველა თემაა წარმოდგენილი. ასევე, წარმოდგენილია კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები: მესამე კლასში სამი კომპლექსური დავალება, მე-4-მე-6 კლასებში კი ორ-ორი კომპლექსური დავალება, წარმოდგენილია დავალებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ. კომპლექსური დავალება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ამიტომ სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებიდან იკითხება გაწერილი სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც

ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. გლობალური-ფუნქციური უნარების განსავითარებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტაცია პროექტების განხორციელების შესახებ. ასეთი პროექტია მაგალითად, ფინანსური განათლების მიმართულებით მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები თავისი ბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს 6-ვე ფუნქციურ-კომპონენტური უნარის - კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, შემოქმედებითობის, ნებელობის და მოქალაქეობის გააქტიურებას, წახალისებას და გაცნობიერებას.

მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტების განხორციელებაში და ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივ ცოდნასთან ერთად ივითარებენ გლობალურ-ფუნქციურ უნარებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სასწავლო რესურსები და კომპლექსური დავალების პირობა შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, უნარების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვას. ამ მიზნით აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს (მაგ., სასწავლო მენიუ და სხვ.), მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებების ადაპტირებულ ვერსიებმართალია, ჯერ დეტალურად არ არის გაწერილი სსსმ მოსწავლისათვის2023-2024 სასწავლო წლისთვის შესაბამისი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობები, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სკოლას ერთ-ერთ საკითხად უწერია სსსმ მოსავლის პროგრამის შემუშავება. ასევე, ინტერვიურების პროცესში კათედრის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სწავლების ინკლუზიურ მიდგომას, რომ მათთვის ეს პრიორიტეტია და მოსწავლეებს მიეწოდებათ საჭიროებისამებრ რესურსები და დავალებები.ს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4.სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა რუბრიკები ძველი ფორმითაა წარმოდგენილი და ძალიან ზოგადია. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ, შექმნან შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც მათ დაეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების რუბრიკების თანდათანობით შექმნა; ამგვარად, მათ ექნებათ შეფასების რუბრიკების ბაზა, რასაც კათედრის ყველა წევრი გამოიყენებს.სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა რუბრიკები ძველი ფორმითაა წარმოდგენილი და ძალიან ზოგადია. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ, შექმნან შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც მათ დაეხმარებათ მოსწავლეთა შეფასებაში. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების რუბრიკების თანდათანობით შექმნა; ამგვარად, მათ ექნებათ შეფასების რუბრიკების ბაზა, რასაც კათედრის ყველა წევრი გამოიყენებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც დაკონკრეტებულია, კათედრებმა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა როგორ უნდა გააანალიზონ დაკვირვების და დიაგნოსტირების შედეგები და მის საფუძველზე როგორ შეიტანონ ცვლილებები სასწავლო პროცესში. ჩანს, რომ სკოლა მათემატიკის დაწყებით კათედრაზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს; ეს ხარისხის განვითარების ჯგუფის ანგარიშიდანაც ჩანს. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრის წევრები აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ შედეგებს, აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, უკუკავშირისა და რეფლექსიების შედეგებზე დაყრდნობით ვითარდება

საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ, თუ რა არის დასახვეწი და შესაცვლელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. არც შესაბამისი სივრცე და ინვენტარი. არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, ამით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის,

2.2.1 კურიკულუმის განხორციელების პროცესსსასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგნილი კომპლექსური დავალებები, რესურსები, აქტივობები, მრავალფეროვანი სტრატეგიები, განხორციელებული/განსახორცლებელი პროექტები იძლევა საშუალებას სწავლა-სწავლება წარიმართოს ისე , რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.შერჩეული დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ახლოს დგას ყოველდღიურ გამოცდილებასთან. გამოყენებული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას.წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კურიკულულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, გამოყებებული რესურსების და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას.სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმები, სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ განხორციელებული პროექტები იძლევა მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას. წარმოდგენილი მასალებიდან ასევე ჩანს, რომ ხდება საგანთა ინტეგრირება და მოსწავლეები იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში მიღებულ ცოდნას სასწავლო პროექტების განხორციელებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას, წინარე ცოდნის საშუალებით განახორციელებენ. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეებს მოუწევთ გარკვეულ

პრობლემების გადაჭრა, ამისათვის კი მათ დასჭირდებათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექური დავალებების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მატრიცაში დასმულია კითხვები, რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს სწავლის პროცესზე და ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვა, მეტაკოგნიტური კითხვები და მასწავლებლის რჩევები სწავლის სწავლის სტრატეგიის დაუფლებისკენ არის მიმართული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. რადგან სკოლას დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმებში ჩაშენებული აქვს კომპლექსური დავალებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით - კომპლექსური ტიპის დავალებებით და განმავითარებელი კომენტარებით ახორციელებენ სასწავლო პროცესს. საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გულისხმობს, რომ განხორციელების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც სკოლის დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ისინი ძირითადად ხელმძღვანელობენ ელექტრონული რესურსით School.emis.ge, რომელიც ყველა სამიზნე ცნებაზე მოიცავს კომპლექსურ დავალებებს, გასულ სასწავლო წელს მოსწავლეები ახორციელებდნენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე-პრობლემის გადაწყვეტაზე, გამოსავლის მოძებნაზე.

კომპლექსური დავალებების განხორციელება თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას.

მასწავლებლებმა თხოვნის შედეგად გამოთქვეს მზადყოფნა რომ წარმოედგინათ მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც დაადასტურებდნენ მასწავლებლის მიერ კლასში განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეთა ჩართულობას, შემოქმედებით მიდგომას და ცოდნათა ურთიერთკავშირს. მეორე დღეს სკოლამ გადმოგზავნა მოსწავლის ნამუშევრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

საგნობრივი კურიკულუმი;

სასწავლო პროექტები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილი კურიკულუმების და კომპლექური დავალებების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება , რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. შერჩეული დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ახლოს დგას ყოველდღიურ გამოცდილებასთან. გამოყენებული

აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას. სკოლის მიერ წინასწარ წარმოდგენილ კურიკულუმები არ იყო სრულყოფილები, რაზედაც მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გადმოაგზავნიდნენ და მეორე დღისთვის გადმოგზავნეს ყველა კლასის კურიკულუმები, მათში გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებს სიღრმისეულად გასააზრებლად შესთავაზოს ისეთი საგნობრივი საკითხები, რომლებიც მათ ნაცნობ პრობლემებზე მსჯელობის საშუალებას მისცემს, სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ დამუშავდება ორი ან მეტი სამიზნე ცნება და მისი მკვიდრი წარმოდგენები.

სასწავლო პროცესში მოსწავლე დაამუშავებს კურიკულუმით დაგეგმილ თემას. თემაში გაწერილია სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საკითხები, ქვესაკითხები, საკვანძო შეკითხვები და შესაქმნელი შემოქმედებითი პროდუქტის იდეა.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები წინა წელსაც ასრულებდნენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, School.emis.ge ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსიდან, რომლებშიც თავისთავად ხდებოდა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმში შერჩეულია ისეთი საკითხები და თემები, რომელთა საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის სკოლაში მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტები და ნამუშევრები, რომელბშიც ჩანს მოსწავლეთა ცოდნა და უნარები კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით.

სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა სახის სოციალური პროექტები: მაგ. „დედამიწა ჩვენი სახლია“ და „მე აქტიური მოქალაქე ვარ“, „ჩვენ ტოლერანტები.“

ამ ტიპის პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეების

მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების პრეზენტაციები ეხმარება მოსწავლეებს მათემატიკური ტერმინების სწორად გამოყენებაში, როგორც საუბრის და პრეზენტაციის დროს, ასევე დავალებების შესრულების დროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის სფუძველზე, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს თანდათანობით შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც კიდევ მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. ასევე, კომპლექსური დავალებები მოიცავს კონტექსტის შესაბამის განმავითარებელ შეფასებას. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლა, ძირითადად, იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს რჩევებსა და რეკომენდაციებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება პრობლემების გადაჭრასა და განვითარებაში. შეფასების რუბრიკები გათვლილია მოსწავლთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პიროვნულ განვითარებაზე. გამოიყენება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემებიც. სკოლას აქვს კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიის მიღწევის დონეებით შეფასების გამოცდილებაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ეფუძნება მოსწავლის განვითარებისა და სამართლიანობის პრინციპებს. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მისაღწევ შედეგებზე. სკოლა დაწყებით საფეხურზე ქმნის დავალების შესაბამის შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რა კრიტერიუმებით ფასდებიან. სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრამ შეიმუშავა შეფასების რუბრიკები, რომლებიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას, რაც ხელს უწყობს შეფასების გამჭვირვალობას. საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების, რაც მოწმობს იმას, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. დაწყებით საფეხურზე

მოსწავლეთა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყენებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს. შეფასების სისტემა მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც გაწერილია, რომ ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია . მასწავლებლებთან ინტერვიუზე იკვეთება, რომ გააზრებული აქვთ ვერიფიკაციის მნიშვნელობა და დაგეგმილია დოკუმენტში გაწერილი მექანიზმის ამუშავება. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. გამოკრულია კლასებში და მიეწოდება მშობლებს. პედაგოგები კათედრაზე სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აკეთებენ ანალიზს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლა გეგმავს შეფასების სისტემის მექანიზმის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით აღირიცხება და ინახება მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგნობრივი კურიკულუმი

შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწყებით საფეხურზე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, კერძოდ, როგორც სასკოლო, ასევე საკლასო გარემოში მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აქვს საშუალება თავიანთი აზრი თავისუფლად დააფიქსირონ და პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებას, მათ არ ეშინიათ შეცდომების დაშვების, კითხვების დასმის. სწავლა-სწავლება მიმართულია პიროვნულ განვითარებაზე. ჯგუფური პროექტების განხორციელება, სასკოლო გუნდური მუშაობა ხელს უწყობს კლასისა და სკოლის კლიმატის გაჯანსაღებას.კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ხელს უწყობს

მოსწავლეთა მხარდაჭერას მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებისას. სკოლა მოსწავლეებს სთავზობს საინტერესო სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს, დროულ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესის დროს და დავალებების განხორციელების ეტაპებზე. სკოლის მათემატიკის კათედრა გეგმავს, შექმნას ისეთი გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რითაც დასტურდება მოსწავლეთა მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით. ინტერვიურების დროს, შეკითხვაზე: აპირებთ თუ არა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას და თუ აპირებთ, მაშინ რამდენჯერ სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლებმა ისაუბრეს დიაგნოსტიკური კვლევის მნიშვნელობაზე და დაადასტურეს, რომ დიაგნოსტიკურ კვლევას ჩაატარებენ წელიწადში ორჯერ და გამოიყენებენ „კარგი სკოლის“ ტესტებს.კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას დავასკვნათ , რომ სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასწავლებლებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, იკვლევს მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად გეგმავს სასწავლო პროცესს. სასწავლო პროცესის სუბიექტია მოსწავლე, საინტერესო სასწავლო პროცესის, კომპლექსური დავალებების, პროექტების შეთავაზებით სკოლა დაწყებით საფეხურზე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ზრუნავენ თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე. ატარებენ სამუშაო სეხვედრებს, ერთობლივად გეგმავენ და ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, განიხილავენ სიახლეებს, პრობლემურ საკითხებს, გამოყოფენ პრიორიტეტულ თემებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილები და კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.

სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროექტები, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა.

ინტერვიუს დროს კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ათანხმებენ ერთმანეთთან განსახორციელებელ აქტივობებს და ღონისძიებებს და ამ პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, სკოლის მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ ტრენინგებზე თუ ქოუჩინგის დროს მიღებულ გამოცდილებას. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ სხვა კოლეგების პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების და სასწავლო პროცესის ამსახველი მასალა აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს პოზიტიური გარემო.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს პოზიტიური სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი.

როგორც მასწავლებლებმა აღწერეს, სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. სასკოლო საზოგადოებაში სკოლა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლიერებაზე, აკადემიური და პიროვნული ზრდის ხელშეწყობაზე.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უკეთესი, პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მომავალში გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობის უფრო მეტად გააქტიურებას: სხვადასხვა ვიდეორგოლების ჩვენებას, დისკუსიების გამართვას. სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობა დაფუძნებულია თანასწორობაზე. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლობით კულტურას. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ჩამოყალიბებულია ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პოზიტიური ურთიერთობა, რასაც ხელს უწყობს არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობა. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

საგნობრივი კურიკულუმი

ბუნებიმეტყვლების (I-VI კლასი) კურიკულუმი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება გაწერილია სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშვების მეთოდოლოგიაში,ასახულია, თუ როგორ და რა აქტივობებით და საშუალებებით განხორციელდება სკოლის და საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლას გეგმავს გააქტიურებას მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით. სკოლის შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. გამოკვეთილია ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა.

კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სისტემატურად ხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შეჯამება, მათ შორის გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრებების შემდეგ

მასწავლებელთა მიერ რეფლექსიების წარდგენა, შემდეგ კი უკუკავშირების გათვალისწინება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისათვის.

მათ აღნიშნეს, რომ სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების საფუძველზე აძლევს უკუკავშირს.

საგნობრივ კათედრებზე თუ წყვილებში მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, აძლევენ უკუკავშირს, პერიოდულად კრიტიკული მეგობრის სახით ესწრებიან ერთმანეთს, მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტურებულია სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების/აქტივობების განხორციელების მონიტორინგის და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაზე.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათედრებზე მიმდინარე წლის გეგმებთან დაკავშირებით ხდებოდა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ძლიერი და სუსტი მხარეების გარჩევა. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები მოტივირებული არიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი ცოდნის, უნარებისა და ნიჭის განვითარებაში. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. მიმდინარე განმავითარებელი შეფასების სისტემატიური გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს უნარების დახვეწაში სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების გზით. მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარებით, მშობელი მუდმივად იღებს ისეთ ინფორმააციას, რომელიც მისი შვილის განვითარებასა და საკუთარი სწავლის მნიშვნელობის გაცნობიერების წინაპირობაა. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა დიაგნოსტირებისთვის გამოიყენოს სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. სკოლის მიერ წარმოდგენილი

დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი ,რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, ურთიერთშეფასებასა და თვითმონიტორინგს. შეფასება ეხმარება გააცნობიერონ მუშაობის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. შეფასება ხდება სისტემატიურად, კათედრაზე გამოიყენება, როგორც განმსაზღვრელი , ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეებს ეწერებათ მიმდინარე შეფასებები.ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მაგ. მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, პროგრესი, რეგრესი, გარემო კლიმატი და თანატოლებთან ურთიერთობა. საბუნებისმეტყველო კათედრა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კლასებში მოსწავლეთა ცოდნის დონის განსზღვრის მიზნით კათედრა ახორციელებს მრავალმხრივ მიდგომებს და იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს როგორიც არის: კითხვარი, ფოკუსჯგუფები. ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის მიხედვითაც კათედრა ადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, რაც გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების პროცესში.სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მათემატიკის კათედრა აპირებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი

სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, ბუნებიმეტყველების კურიკულუმი, კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი, გადასინჯვა და შეფასება. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის და ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხურის კურიკულუმი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი , რომელიც შესაძლებლობას იძლევა, გათვალისწინებული იქნას სასკოლო საზოგადოების ინტერესიბი, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები.საგნობრივი კურიკულუმები სასკოლო კურიკულუმის ნაწილია, ამიტომ მნიშვნელოვანია კათედრების მუშაობის გაძლიერება, კათედრების მიერ შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, იდეების გაცვლის, მსჯელობის საფუძველზე საბოლოო ვერსიაზე შეჯერება. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიბმულია კურიკულუმებზე. კომპლექსური დავალებები და აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების დადგენა მოხდა მოსწავლეთა ნამუშევრების შედეგების ანალიზის საფუძველზე. შედეგების ანალიზის შესაბამისად ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება და ეს ციკლურ პროცესს წარმოადგენს სკოლისთვის და კათედრებისთვის. სკოლის ზემოთაღწერილი ხედვა და, ამავე დროს, კათედრული საქმიანობა ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ჩანს, რომ სკოლა გეგმავს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მშობელთა გამოკითხვას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების, ინტერესების, იდეების, საჭიროებების კვლევის მიზნით.

სკოლა გეგმავს, რომ სადამრიგებლო საათებზე და სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებზე მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსწავლეთა და მშობელთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას, იგეგმება ეზოს გამწვანება და მისი მოვლა პატრონობა, მშობელთა ჩართულობით. კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს მათ დაადასტურეს, რომ სასკოლო კურიკულუმი ერთობლივი გუნდური მუშაობით შექმნეს, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ყოველივე ზემოთთქმული დასტურდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, რაც სკოლამ წამოადგინა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საბაზო საფეხურზე კურიკულუმი იქმნება სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კათედრა სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს/მოსწავლეებს აცნობს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს, შემდეგ გამოიკითხავს მშობლებსა და მოსწავლეებს, მათი უკუკავშირის გათვალისწინებით გეგმავს სასწავლო პროცესს. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესის უშუალო დაგეგმვაში. აგრეთვე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასახულია მშობელთა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები მოსწავლეთა შესაძლებლობებთან დაკავშირებით.სკოლას უკვე აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კერძოდ, საბაზო კლასების კათედრის წევრები ერთად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ თემებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. მშობლებს კრებებზე აცნობენ კურიკულუმებს, შეფასების ტიპებსა და რუბრიკებს, ასევე, აქტივობებს არაფორმალური განათლების მიმართულებით. კურიკულუმების საბოლოო ვერსია განიხილება ადმინისტრაციასთან ერთად. სასწავლო წლის ბოლოს საბაზო საფეხურზე მასწავლებლების მიერ ჩატარებული წლის ანგარიშების გათვალისწინებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა

შესაძლებლობები და ინტერესები მომავალი სასწავლო წლისთვის.თვალსაჩინოა კათედრის წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, კათედრაზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.როგორც უკვე ითქვა სკოლის კურიკულუმის განვითარების მოეთოდოლოგიაში ხაზგასმით არის აღნიშნული სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობის საკითხი, განსაზღვრულია პროცესში ჩართული მხარეები, მათი ფუნქციები და როლი. ამავე დოკუმენტში საუბარია მშობელთა ინფორმირებაზე კურიკულუმის სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთვით, ელ-ჟურნალის გამოყენებით, LMS სისტემით, კომპლექსური დავალებების ბარათების გაგზავნით. ვიზიტის დროს კი მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასწყისში, კლასის დამრიგებლები მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის საკითხებს, რაც დასტურდება მშობელთა კრების ოქმით. საბაზო საფეხურზე კათედრაზე შემუშავებული კურუკულუმი სხვადასხვა საშუალებით განიხილება სასკოლო საზოგადოებაში, სასწავლო წლის დასაწყისში საგნის მასწავლებლები მოსწავლეებსა და მშობლებს უგზავნიან კომპლექსური დავალებების ბარათებს. აქტიურად გამოიყენება სკოლის ფეისბუქგვერდი, მესენჯერში შექმნილია კლასის ჯგუფები. კურიკულუმები და სხვა მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. თუმცა, სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამა
- კათედრის სხდომის ოქმი
- მშობელთა კრების ოქმი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სსსმ მოსწავლისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ყველა საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმში ესგ - ს სტანდარტის შესაბამისადაა განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი. მოცმეულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მიზნების განსაზღვრა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, აქტივობები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენელთან დავაზუსტე ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა პრინციპით გადაწყდა რომელ საკითხზე უნდა გაკეთებულიყო კომპლექსური დავალება, რაზეც მასწავლებელმა, მიპასუხა, რომ კომპლექსური დავალების დაგეგმვამდე მოსწავლეების ინტერესები გაარკვია და მათთვის საინტერესო საკითხზე გადაწყვიტა კომპლექსური დავალების ჩატარება. თუმცა, მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული რა ფორმითა და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების დადგენა და ამ ყველაფრის დაკავშირება შუალედურ მიზნებთან (კომპლექსური დავალება), რაც სასურველია, რომ დაზუსტდეს.

სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასსრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები დასჭირდება და სიღმისეულად გააზრებინებს მასალას. შესაბამისად, კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მოსწავლეებს განუვითარდებათ ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა. სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სსსმ მოსწავლისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსია და მათი გააზრება კი შედეგების მიღწევის წინაპირობა. სამიზნე ცნებებებზე ორიენტირებულობა ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში შესაბამის სავალდებულო თემებში და წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ნიმუშებში. გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებაში კი კომპლექსური დავალებებს განსაკუთრებული როლი აქვთ, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ჩართული იყო

„ახალი სკოლის მოდელში“ და მათი გამოცდილებით კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა გააქტიურებას საგაკვეთილო პროცესში. სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით უფრო სრულყოფილი სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. რადგან სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების განსხვავებულ კონტექსტებში გააქტიურების საშუალებას იძლევა . საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტები იძლევა დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების საშუალებას. ინტერვიუს შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება სასწავლო მიზნების გათვალისწინებით მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. მასწალებელები სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებს. ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმში იკვეთება, რომ საგნის მასწავლებელი ახორციელებს კვლევით სამუშაოებს, ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით. ბიოლოგიის და ქიიის მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების გამოცდილება არ აქვთ. ატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს, რომლის განხრცილებისთვის საჭირო რესურსებზეც მიუწვდებათ ხელი,ვინაიდან სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (მხოლოდ ერთი მოძველებული მიკროსკოპი აქვთ).სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებებში არ არის ადაპტირებული ვერსია (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). ასევე, არც ცალკე და არც რომელიმე დოკუმენტთან ინტეგრირებულად არ ჩანს სკოლის დონეზე ინკლუზიური განათლების პროგრამის შემუშავების მექანიზმები.

სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. ასევე, დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება ინკლუზიური განათლების პროგრამის შემუშავების მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნილია თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები წარმოდგენილია ქიმია და ბიოლოგიაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და ისინი ყოველთვის მიზნობრივად იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი რუბრიკა, რომლებიც დაფუძნებულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე და, შესაბამისად, იძლევა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირების საშუალებას.

სასურველი და მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნა დასამუშავებელი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირით. თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრის წევრები აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ შედეგებს, აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, უკუკავშირისა და რეფლექსიების შედეგებზე დაყრდნობით ვითარდება საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ, თუ რა არის დასახვეწი და შესაცვლელი. წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექური დავალებების , პროექტების, მოსწავლეთა ნამუშევრების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთბა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებელბი მოსწავლეებს სთავაზობენ აქტივობებს, დავალებებს, რომელიც იძლევა ცოდნათა ორგანიზების საშალებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისტორიის კურიკულუმები VII-IX კლასი
- გეოგრაფიის კურიკულუმები VII-IX კლასი
- მოქალაქეობის კურიკულუმები VII-IX კლასი
- მოქალაქეობის კომპლექსური დავალების პირობა
- ორი შესრულებული კომპლექსური დავალების ნიმუში გეოგრაფიაში
- მოსწავლეთა ნაშრომები მოქალაქეობაში ადრეული ქორწინების საკითხზე
- ისტორიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისტორიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა
- კათედრის სხდომის ოქმი
- სამუშაო შეხვედრების გეგმა თემაზე „ბულინგის პრევენცია სკოლაში და ტოლერანტული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობა“

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. არც შესაბამისი სივრცე და ინვენტარი. არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, ამით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელების პროცესს

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგნილი კომპლექსური დავალებები,რესურსები, აქტივობები, მრავალფეროვანი სტრატეგიები, განხორცილებული/განსახორცლებელი პროექტები იძლევა საშუალებას სწავლა-სწავლება წარიმართოს ისე , რომ ხელი შეუწყოს

მოსწავლის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.შერჩეული დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ახლოს დგას ყოველდღიურ გამოცდილებასთან. გამოყენებული აქტივობები და მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის ამაღლებას.წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კურიკულულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები, გამოყებებული რესურსების და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის საშუალებას.საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი ესგ-ის პრიორიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა. მოცემულ საფეხურზე სკოლას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. გარდა ამისა, გაფორმებული აქვთ მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, კერძოდ, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში გამოიყენება სტრატეგიები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს წინარე ცოდნის გააქტიურებაში, რაც მოსწავლეს უადვილებს ცოდნის კონსტრუირებას. მაგ, დამაზუსტებელი შეკითხვები, ასოციაციური რუკა და სხვ. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. მაგრამ ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა.

სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას. ასევე, სკოლას შემუშავებული და განხორციელებული აქვს არერთი სასკოლო და სასწავლო პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრიორიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კათედრის მიერ შერჩეული დავალებები ამაზე მიუთითებს. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული კითხვები მოსწავლეს ფიქრის საშუალებას აძლევს და სწავლის სწავლისკენ უბიძგებს. წარმოდგენილი კურიკულუმების ,კომპლექური დავალებების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ მატრიცაში დასმულია კითხვები, რომელიც მოსწავლეს დააფიქრებს სწავლის პროცესზე და ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვა, მეტაკოგნიტური კითხვები და მასწავლებლის რჩევები სწავლის სწავლის სტრატეგიის დაუფლებისკენ არის მიმართული. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტები, არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ორიენტირებულია, როგორც ფაქტობრივი ცოდნის შეძენაზე, ასევე ცოდნის რეალიზებასა და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული); ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან როგორ შეარჩიონ აქტივობები, მეთოდები, რესურსები, ჩამოაყალიბონ კითხვები ცოდნის სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საფეხურის კომპლექსურ ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების ფრაგმენტულობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექური დავალებების , პროექტების, მოსწავლეთა ნამუშევრების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის მიხედვით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებელბი მოსწავლეებს სთავაზობენ აქტივობებს, დავალებებს, რომელიც საშალებას იძლევა ცოდნათა ორგანიზების.საფეხურის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა, რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, თუმცა კიდევ უნდა გაესვას ხაზი, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტულობას (ზოგიერთ კურიკულუმში).

სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. სკოლას შემუშავებული და განხორციელებული აქვს არაერთი სასკოლო და სასწავლო პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრირიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა, რომლის რეალიზება ხდება სხვადასხვა საგნის პროგრამებთან კავშირით, რაც პირდაპირ უწყობს ხელს საგანთაშორის კავშირების დამყარებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ისტორიის კურიკულუმები VII-IX კლასი
- გეოგრაფიის კურიკულუმები VII-IX კლასი
- მოქალაქეობის კურიკულუმები VII-IX კლასი
- მოქალაქეობის კომპლექსური დავალების პირობა
- ორი შესრულებული კომპლექსური დავალების ნიმუში გეოგრაფიაში
- მოსწავლეთა ნაშრომები მოქალაქეობაში ადრეული ქორწინების საკითხზე
- ისტორიის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- ისტორიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია შესასწავლი სავალდებულო თემები კლასების მიხედვით და თითოეულ სავალდებულო თემაში ჩაშლილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები. შერჩეულ კომპლექსური დავალებები და აქტივობები, მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ და მისი განვითარებისკენ. შეკითხვები კი ისეა დასმული, რომ მოსწავლეს სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების თანდათანობით ჩამოყალიბებაში უწყობს ხელს. მაგალითად: თემის ფარგლებში მუშავდება მათემატიკის სამივე სამიზნე ცნება და ამ ცნებების შესაბამისი ქვეცნებები, რასაც თანდათანობით მიჰყავს მოსწავლეები სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ და მისი განვითარებისკენ.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მის მკვიდრი წარმოდგენების გათავისების შესაძლებლობა მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესაძლებელი საფეხურის კურიკულუმებში რამდენიმე კომპლექსური დავალების ფარგლეში, რომელშიც გაწერილია სამიზნე ცნება, კომპლექსური დავალების პირობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე კი შეფასების კრიტერიუმები (ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ). მთლიან საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და საკითხები, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურიკულუმის კომპლექსური დავალებებითა და კონტექსტ-მაგალითებით გამდიდრებისთვის. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სწავლა სწავლების პროცესში დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. კურიკულუმში შეტანილია ისეთი დავალებებით, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისაუბრონ საკუთარ თავზე, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები და გაამყარონ არგუმენტებით, შეძლონ სხვისი აზრის პატივისცემა და მართონ საკუთარი ემოციები.კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეების მიერ განხორციელებული

კომპლექსური დავალებების პრეზენტაციები ეხმარება მოსწავლეებს მათემატიკური ტერმინების სწორად გამოყენებაში, როგორც საუბრის და პრეზენტაციის დროს, ასევე დავალებების შესრულების დროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მნიშვნელოვანია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტი „ახალგაზრდული სივრცის მოწყობა ზოტში", რაც არაფორმალური განათლების ნაწილია და ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება, კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან, კომპლექსურ დავალებებში არსებული ჩაშენებული კრიტერიუმები კი უშუალო კავშირშია დასამუშავებელი ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან, ამ ყველაფრის ერეთობლიობა კი უზრუნველყოფს სანდო, ვალიდურ, ობიექტურ, გამჭირვალე და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი განმასაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებების ფლობის დონის განსაზღვრაზე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გაწერილია მოლოდინები მიმართებით დონეზე, კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნილია თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების, თვითშეფასების რუბრიკები, მოწმობს იმას, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყენებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს. შეფასების სისტემა მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.შეფასების სისტემის გამჭვირვალეობა ჩანს პირველ რიგში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებით, სადაც ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რადგან მშობლებს მიეწოდებათ კომპლექსური დავალების ბარათები, ეს უკვე ნიშნავს გამჭვირვალეობას. სასკოლო სასწავლო გეგმაში ამოიკითხება, რომ ამისათვის სკოლა გამოიყენებს სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალას, საინფორმაციო დაფას და სხვა საშუალებებს. ასევე, სასწავლო პროცესში სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობას და ვალიდურობას. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. რაც შეფასებას ხდის სამართლიანს და ობიექტურს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (რუბრიკები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას საწყის ეტაპზე არ წარმოუდგენია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც მოსწავლეთა განვითარების დინამიკას ადგენს, თუმცა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე, სკოლამ შეიმუშავა და გამოაგზავნა აღნიშნული დოკუმენტი. სკოლა გამოთქვამს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა პროფილები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ შეფასებაზე და შედეგების გაანალიზებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები ითანამშრომლებენ კათედრებთან და ყოველ ჯერზე მიიღებენ ამ ციკლურ პროცესებში მონაწილეობას. ინტერვიურების დროს

მასწავლებლებმა დააზუსტეს, რომ სადიაგნოსტიკო ტესტების გენერირებას მოახდენენ „კარგი სკოლის“ საიტიდან და დიაგნოსტირებას განახორციელებენ წელიწადში ორჯერ, რაც მათ საშუალებას მისცემს, დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური და კლასის პროფილები და მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. სასურველია დირექციამ და მასწავლებლებმა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის სწორად დანერგვის მიზნით, ადეკვატურად და რეალისტურად გაიაზრონ შემუშავებული დოკუმენტი, გაითვალისწინონ სკოლის ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები და ისე დაგეგმონ შესაბამისი ქმედებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6.სკოლის კათედრის წარმომადგენლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლის ეს ხედვა ასევე ჩანს სკოლის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმიდანაც. სკოლას გააზრებული აქვთ ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, კურიკულუმი, შეფასების რუბრიკები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლაში სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს სხვადასხვა გამჭოლი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, ნებელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების და ა.შ.

სკოლაში ხორციელდება პროექტები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთათვის მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე-განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალის ნაწილი გადმოგზავნილია დოკუმენტების სახით.

მასწავლებლებმა, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა- ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ზრუნვასა და მხარდაჭერაზე, რომლის მიზანიცაა პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლე მოახდენს თვითრეალიზებას. სკოლის საქმიანობა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურას. რაც გამოიხატება საკლასო ოთახებში შექმნილი პოზიტიური გარემოს არსებობით. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მეგობრული და სასიამოვნო გარემოს შესაქმნელად სკოლაში განხორციელებული იქნა მრავალი აქტივობა, სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები, ხორციელდება პროექტები. სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აქვთ საშუალება თავიანთი აზრი თავისუფლად დააფიქსირონ და ისინი პატივს სცემენ განსხვავებულ მოსაზრებებს . სკოლას შემუშავებული

აქვს სადამრიგებლო პროგრამა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სხვადასხვა პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრიორიტეულ თემაზეც, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, ერთ-ერთ მასწავლებელს დაწერილი აქვს რეფლექსიები სკოლაში განხორციელებულ 7 პროექტზე. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის სასწავლო გეგმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, საგნობრივი კურუკულუმიდან ჩანს, რომ შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები ემსახურება მოსწავლის ავტონომიურობას, მის წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას, ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების, შემოქმედებითობის გამოვლენას.

მტკიცებულებად შეგვიძლია განვიხილოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები-განხორციელებული პროექტები.

ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესსზე, ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ისინი ემსახურებიან იმას, რომ მოსწავლეებმა შეძლონ წარმატებების მიღწევა. სასკოლო პროექტებზე, კომლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი და ავტონომიურია.

სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები და მოსწავლეთა წარმატებების ამსახველი მასალები.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, იკვლევენ მოსწავლეთა საჭიროებებს და იმის მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროცესს. მომავალში გეგმავენ მოსწავლეთა გააქტიურებას ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, განხორციელებულია არაერთი სასკოლო პროექტი. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე

ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი კომპლექსური ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ წარმოდგენილი გაკვეთილები და კულტურული ღონისძიებები აჩვენებს, რომ სასკოლო საზოგადოებაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.

სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული პროექტები, რომელიც აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრების თანამშრომლობითი კულტურა.

ინტერვიუს დროს კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ათანხმებენ ერთმანეთთან განსახორციელებელ აქტივობებს და ღონისძიებებს და ამ პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, სკოლის მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ერთმანეთს უზიარებენ პროფესიულ ტრენინგებზე თუ ქოუჩინგის დროს მიღებულ გამოცდილებას. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და უკუკაშირით მხარს უჭერენ სხვა კოლეგების პროფესიულ ზრდას. ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა ორიენტირებულია მასწავლებლების პროფესიული ზრდის მხარდაჭერაზე. სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, თუმცა სასურველი და მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენეს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების და სასწავლო პროცესის ამსახველი მასალა აჩვენებს, რომ სკოლაში არსებობს პოზიტიური გარემო.

მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს პოზიტიური სასკოლო გარემო და სასწავლო პროცესი.

როგორც მასწავლებლებმა აღწერეს, სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო. ფოკუსირება ხდება აღიარებაზე, ნდობაზე, მაღალი მორალური ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. სასკოლო საზოგადოებაში

სკოლა ორიენტირებულია ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაძლიერებაზე, აკადემიური და პიროვნული ზრდის ხელშეწყობაზე.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უკეთესი, პოზიტიური გარემოს შესაქმნელად მომავალში გეგმავენ ამ მიმართულებით მუშაობის უფრო მეტად გააქტიურებას: სხვადასხვა ვიდეორგოლების ჩვენებას, დისკუსიების გამართვას.

სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტები. საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კათედრის ოქმის, კლასგარეშე პროექტების ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე, თუმცა არ არის სხვა უფრო მყარი მტიცებულება, მაგალითად, ინტერვიუ ან ფოკუს-ჯუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან, რომლის დახმარებითაც გამოიკვეთებოდა აზრი და განცდა აღნიშნულ საკითხზე. სასურველია სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივოებები დაგეგმვის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

- დასტურდება (მტკიცებულებები):
- საგნობრივი კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში განსაზღვრულია კურიკულუმის აგების პრინციპები, მიზნები და ამოცანები.

კათედრის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ახორციელებდნენ საგნობრივი თემატური გეგმების მონიტორინგს და შეფასებას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. გამოკვეთილია ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირი.სკოლა და სასკოლო თემი გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება, პრობლემების გამოკვეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი საკითხების განხილვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება.

-სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი აქტივობებია. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია კურიკულუმის მონიტორინგი და რევიზია, რაც პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი და შეფასება, რომ ამ ყველაფერზე პასუხისმგებელია შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა*

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ხედვა ასეთია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების როლი ,რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მშობელს და თავად მასწავლებელს მიიღოს/დააგროვოს ინფორმაცია სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ. სკოლა შეფასების პროცესში იყენებს სხვადასხვა საშუალებებს. სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტური შეფასების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის თვითშეფასებიდან და სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ სურვილის მიხედვით ახორციელებდნენ კომპლექსურ

დავალებებს და ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები.წარმოდგენილი კურიკულუმების, კომპლექსური დავალების, შეფასების რუბრიკების, განხრცილებული აქტივობებს და ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მაგ. მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, პროგრესი, რეგრესი, თანატოლებთან ურთიერთობა. საბაზო საფეხურზე კათედრა მოსწავლეთა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, კათედრის ანგარიშები, განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. სკოლას აქვს კლასის ანალიზის ფორმა, კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, დამრიგებლის საათი და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ;სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა

შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მათემატიკის კათედრა აპირებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. შეფასების მრავალი კონტექსტით განხორციელებას უზრუნველყოფს:კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები. პედაგოგები ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდიან მათ უკუკავშირს. მასწავლებელი ინფორმაციას მოსწავლის შესახებ აგროვებს მოსწავლის, მის თანატოლების, მშობლების, მასწავლებლების, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალის გამოკითხვის შედეგად. რათა მიიღოს მეტი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში. თვითშეფასების კითხვარში და ინტერვიუს დროსაც სკოლისგან აღინიშნა, რომ მშობელთა მეტი ჩართულობისთვის აპირებენ გამოკითხვის, ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფების ჩატარებას, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიაშიც, რომ გაიწეროს კარგი იქნებოდა. ანუ, სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება.მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა შემდეგი, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების და ფუნქციური უნარების ანალაიზი. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა

ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, დამრიგებლის პროექტები/აქტივობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ტარდება მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები, სადაც განიხილება მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციური უნარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

მტკიცებულებები:

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- პროექტის გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი, გადასინჯვა და შეფასება.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის და ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება;საბუნებისმეტყველო კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა/ რევიზირება მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მოწოდებულ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოდ, რომ საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის მიერ. აღნიშნულ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში, მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რომლის გათვალისწინებითაც ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ ისინი გამოკითხვის მეთოდის გამოყენების შედეგად ადგენენ მოსწავლისა და მშობლის ინტერესებს და მათი უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ განსახორციელებელ აქტივობებს.საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. სადამრიგებლო პროგრამაში

გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი ესგ-ის პრიორიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა. სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ფრაგმენტულად არსებული ზოგადი ჩანაწერები დაზუსტდეს სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა რომ აქვთ გამოცდილება მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა აქტივობებსა თუ პროექტებში, სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში საბაზო საფეხურზე აუცილებლად ითვალისწინებენ საზოგადოების(მოსწავლეთა/კათედრის წევრების და სხვ.) ინტერესებს, ამ პროცესს ხელს უწყობს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები კათედრის წევრებთან და მშობლებთან. გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოდ, რომ სკოლაში მუსიკასა და ხელოვნებაში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის მიერ სკოლაში განხორციელებული გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით. კურიკულუმში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. მაგრამ ამ მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა. ინტერვიუს დროს, სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას მოსწავლეების და მშობლების უფრო აქტიური ჩართულობისთვის გეგმავენ პერიოდულ გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს ჯგუფების ჩატარებას. რაც მთავარია სკოლას უკვე აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია

სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა სასურველია, სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოდ, რომ სკოლაში საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია მასწავლებლების თვითრეფლექსიისა და მოსწავლისა და მშობლის უკუკავშირზე დაყრდნობით. გათვალისწინებულია კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცამები. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლას აქვს მეტი მზაობა იმისა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები მეტი აქტიურობით ჩაერთონ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ერთობლივი მუშაობის შედეგად მეტად გამოკვეთონ მოსწავლეთა ინტერესები და გამოწვევები სწავლა-სწავლების პროცესში. თვალსაჩინოა კათედრის წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, კათედრაზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები.საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებები, რომელშიც არის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას, მაგრამ აქაც გამოწვევაა, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების ფრაგმენტულობა. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებში არ ჩანს თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების მაგალითები. სკოლას უკვე აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე, თუმცა სასურველია, სასკოლო საზოგადოების

ინტერესების შესაწავლისა და კურიკულუმში ასახვის მიზნით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, მთელი წლის განმავლობაში, რა ფორმით, როგორი ინტენსივობით, რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, და გათვალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.საშუალო საფეხურზე კურიკულუმი გაზიარებულია სკოლის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის. კურიკულუმის გაზიარება მოხდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა და შესაბამისი საგნების მასწავლებლები. ამ ეტაპზე, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით .სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საფეხურის კომპლექსურ ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების ფრაგმენტულობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ყველა საგნის (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) წარმოდგენილ კურიკულუმში ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმში ესგ -

ს სტანდარტის შესაბამისადაა განსაზღვრული თემები, სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერი. მოცმეულია კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მიზნების განსაზღვრა მოხდა მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილ ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები, აქტივობები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.

სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სსსმ მოსწავლისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენელთან დავაზუსტე ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა პრინციპით გადაწყდა რომელ საკითხზე უნდა გაკეთებულიყო კომპლექსური დავალება, რაზეც მასწავლებელმა, მიპასუხა, რომ კომპლექსური დავალების დაგეგმვამდე მოსწავლეების ინტერესები გაარკვია და მათთვის საინტერესო საკითხზე გადაწყვიტა კომპლექსური დავალების ჩატარება. თუმცა, მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული რა ფორმითა და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების დადგენა და ამ ყველაფრის დაკავშირება შუალედურ მიზნებთან (კომპლექსური დავალება), რაც სასურველია, რომ დაზუსტდეს.

სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საბაზო საფეხურზე გრძელვადიანი მიზანები მიიღწეოდა შუალედური მიზნებით, კერძოდ კომლექსური დავალებების, პროექტების განხორციელებით. ფიზიკაში , ქიმიაში და ბიოლოგიაში ყველა კლასში შერჩეულია კომპლექსური დავალებები. შერჩეული დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას (გლობალური ფუნქციური უნარები(6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). საბაზო საფეხურის კურუკულუმში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები. სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს სასკოლო პროექტების, ასევე კომპლექსური ტიპის დავალებების გახორციელების გამოცდილება.

სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სსსმ მოსწავლისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსია და მათი გააზრება კი შედეგების მიღწევის წინაპირობა. სამიზნე ცნებებებზე ორიენტირებულობა ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში შესაბამის სავალდებულო თემებში და წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ნიმუშებში. გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებაში კი კომპლექსური დავალებებს განსაკუთრებული როლი აქვთ, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლა ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“ და მათი გამოცდილებით კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას და მოსწავლეთა გააქტიურებას საგაკვეთილო პროცესში. სასურველი და მნიშვნელოვანია კურიკულუმებში თითოეულ თემის დონეზე ყველა სამიზნე ცნებაზე ორიენტირება, კონტექსტ-მაგალითებისა და კომპლექსური დავალების იდეების გაწერა შესაბამისი რესურსების მითითებით უფრო სრულყოფილი სახით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. რადგან სასწავლო პროცესი დაგეგმილია საფეხურეობრივი გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და გრძელვადიანი მიზნების განსხვავებულ კონტექსტებში გააქტიურების საშუალებას იძლევა . საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, პროექტები იძლევა დიფერენცირებული მიდგომების განხორციელების საშუალებას. ინტერვიუს შედეგადაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება სასწავლო მიზნების გათვალისწინებით მრავალფეროვანი, მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. მასწალებელები სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიებს. ფიზიკის წარმოდგენილ კურიკულუმში იკვეთება, რომ საგნის მასწავლებელი ახორციელებს კვლევით სამუშაოებს, ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით. ბიოლოგიის და ქიიის მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენების გამოცდილება არ აქვთ. ატარებენ მარტივ ექსპერიმენტებს, რომლის განხრცილებისთვის საჭირო რესურსებზეც მიუწვდებათ ხელი,ვინაიდან სკოლაში არ არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია (მხოლოდ ერთი მოძველებული მიკროსკოპი აქვთ).სკოლას წარმოდგენილი აქვს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალების პირობა გრძელვადიან მიზანთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ აქტივობად გაწერილია სსსმ მოსწავლისთვის სპეციალური პროგრამის შემუშავება, რაც ქმნის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომების საფუძველს. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ტიპის დავალებებში არ არის ადაპტირებული ვერსია (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს). ასევე, არც ცალკე და არც რომელიმე დოკუმენტთან ინტეგრირებულად არ ჩანს სკოლის დონეზე ინკლუზიური განათლების პროგრამის შემუშავების მექანიზმები.

სასურველი და მნიშვნელოვანია კომპლექსური დავალებების პირობის ადაპტირება (როგორც სსსმ, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვის, რომლებიც დაბალი მზაობით გამოირჩევიან) დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით. ასევე, დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება ინკლუზიური განათლების პროგრამის შემუშავების მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.წარმოდგენილ კურიკულუმიდან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ შეფასება ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილია მასწავლებლის მოლოდინი მიმართებით დონეზე კონკრეტული საკითხზე მუშაობისას. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნილია თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები წარმოდგენილია ქიმია და ბიოლოგიაში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები და ისინი ყოველთვის მიზნობრივად იყენებენ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.სასურველი და მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნა დასამუშავებელი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან კავშირით. თითოეული სავალდებულო თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების მომზადება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. კათედრის წევრები აანალიზებენ სასწავლო წლის განმავლობაში მიღებულ შედეგებს, აფასებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, უკუკავშირისა და რეფლექსიების შედეგებზე დაყრდნობით ვითარდება საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ, თუ რა არის დასახვეწი და შესაცვლელი. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები: კადრების მუშაობის მონიტორინგი და საჭირო ცვლილებების

განხორციელება; გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა; მასწავლებლის საქმიანობაზე მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა და სხვა აქტივობები პოტენციურად უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდიელბის გათვალისწინებას. ასევე, წარმოდგენილია გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების ანგარიში, კათედრის ოქმები, რომლებშიც პირდაპირ ჩანს მსჯელობა კურიკულუმის შემუშავების

პროცესში გასული წლის გამოცდილების გათვალისწინებაზე. სასურველია სკოლამ/კათედრამ გაამდიდროს რეფლექსიისა და თვითრეფლექსიის პრაქტიკა და შესაბამისი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი(ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია), განმასაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები. არც შესაბამისი სივრცე და ინვენტარი. არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი, ამით ირღვევა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი რაც ხელს უშლის 2.2 კომპონენტის, კურიკულუმის განხორციელების პროცესს

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და საგნის ინდიკატორებს. შუალედური მიზნის როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, რომელიც მოსწავლეებს უვითრებს ფუნციურ უნარებს. დავალებებზე მუშაობის პროცესში ისინი მუდმივად იღებენ უკუკავშირს, რაც მათ აძლევთ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის, საკუთარი უნარებისა და ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობას. სწავლის პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მიდგომები, იგეგმება და ხორციელდება პროექტები. მასწავლებლები გაკვეთილებს გეგმავენ მოსწავლის საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქტიურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მოსწავლის

აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებას. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს პროექტი ესგ-ის პრიორიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა. მოცემულ საფეხურზე სკოლას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. გარდა ამისა, გაფორმებული აქვთ მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება-ანგარიშგება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი კურიკულუმების,კომპლექური დავალებების , ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის , მოსწავლეთა ნამუშევრების მიხედვით იკვეთება, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და შექმნილი კომპექსური დავალებები ისეა გაწერილი, რომ იძლევა საშუალებას მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი. მასწავლებელბს გააზრებული აქვთ რა როლი აქვს წინა ცოდნის გააქტიურება/გათვალისწინებას სასწავლო პროცესის წარმართვითვის. ინტერვიუზე იკვეთება , რომ მასწავლებელბი იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს წინა ცოდნის გამოსავლენად და გასააქტიურებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჩანს,რომ მასწავლებლები კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობენ, გასაუბრებისას გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება,მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში,სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს.საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, რომლებიც დაკონკრეტებულია სხვადასხვა საკითხით, რაც საშუალებას იძლევა გააქტიურდეს მოსწავლის წინარე ცოდნა მათთვის ნაცნობი კონტექსტებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შემოტანას ხელს უწყობს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები. მაგრამ ამ

მხრივაც გაუმჯობესებას საჭიროებს, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტული სახით არსებობა.

სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია სადამრიგებლო პროექტები და აქტივობები, წლის მანძილზე განსახილველი თემები, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლის გამოცდილებასთან დაახლოებას. ასევე, სკოლას შემუშავებული და განხორციელებული აქვს არერთი სასკოლო და სასწავლო პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრიორიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სხვა სასკოლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. ეფექტიანი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და გაცნობიერებაზე. ამისათვის, კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები, სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა, მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენის პროცესში მოსწავლეები დეტალურად განიხილავენ საკუთარი სწავლის პროცესს, აღწერენ, რა სტრატეგიები გამოიყენეს დავალებაზე მუშაობის დროს, რა გამოუვიდათ კარგად, რა პრობლემა შეექმნათ დავალებაზე მუშაობის პროცესში, რას შეცვლიან მომავალში მსგავსი დავალების შექმნისას.საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებები, რომელშიც არის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები, პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასასმელი შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეში სწავლის-სწავლის, რეფლექსიის, თვითრეგულირებული სწავლის უნარების განვითარებას, მაგრამ აქაც გამოწვევაა, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების ფრაგმენტულობა. გარდა ამისა, წარმოდგენილი მტკიცებულებებში არ ჩანს თანატოლთა შეფასებისა და თვითშეფასების მაგალითები. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების

დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში შეტანილია სწორედ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს მოსწავლეებისგან თეორიულ ცოდნას, მის რეალიზებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. შესაბამისად, მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი ცოდნის ურთიერთდაკავშირებას და ამ ცოდნათა ერთობლიობით საბოლოო პროდუქტის შექმნას. სასწავლო პროცესის დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებულობა პირდაპირ კავშირშია საფეხურის კომპლექსურ ბუნების დავალებებში გაწერილ სამიზნე ცნების კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებთან, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც ერთგვარი გამოწვევაა, ზოგიერთ კურიკულუმში, კომპლექსური დავალებების ფრაგმენტულობა, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის

შექმნაზე. ყველა ეს აქტივობა მოსწავლისგან მოითხოვს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სკოლა ზრუნავს მოსწავლეების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, რასაც ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, კომპლექსური დავალებების, პროექტებისა და სხვა შემოქმედებით თუ კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელება. ასეთი ტიპის დავალებების შეთავაზებით სკოლა მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, თავიანთი ცოდნა სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ (მაგ., პროექტები, კერძოდ, მე აქტიური მოქალაქე, ჩვენ ტოლერანტები, გენდერული მეინსტრიმინგი, იყავი მეწარმე).საფეხურის კურიკულუმებში ერთი თემის ფარგლებში სკოლას აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების პრაქტიკა, რაც თავისი ბუნებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, თუმცა კიდევ უნდა გაესვას ხაზი, კომპლექსური ბუნების დავალებების ფრაგმენტულობას (ზოგიერთ კურიკულუმში).

სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია არაფორმალური ხასიათის პროექტები/ღონისძიებები/აქტივობები, რაც ხელს უწყობს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას. სკოლას შემუშავებული და განხორციელებული აქვს არაერთი სასკოლო და სასწავლო პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრირიტეტულ თემაზე - გარემოს დაცვა, რომლის რეალიზება ხდება სხვადასხვა საგნის პროგრამებთან კავშირით, რაც პირდაპირ უწყობს ხელს საგანთაშორის კავშირების დამყარებას. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება, ისე, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ მონაწილეობა მიიღონ პროექტის მართვასა და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კურიკულუმი, სასწავლო პროექტები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია შესასწავლი სავალდებულო თემები კლასების მიხედვით და თითოეულ სავალდებულო თემაში ჩაშლილია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები/ქვესაკითხები. შერჩეულ კომპლექსური დავალებები და აქტივობები, მიემართება გრძელვადიანი მიზნისკენ. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლქსური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ

საკითხებზე დაყრდნობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და საკითხები, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურიკულუმის კომპლექსური დავალებებითა და კონტექსტ-მაგალითებით გამდიდრებისთვის. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება. საგნობრივ სტანდარტებში გამოკვეთილია სავალდებულო თემები, სხვადასხვა საკითხზე შემუშავებული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მკვიდრი წარმოდგენების გათავისება მიიღწევა დავალების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ახალი კუთხით წარმოაჩენენ ტექსტს, ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომლითაც ადასტურებენ საკუთარ ცოდნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროცესი, კომპლექსური დავალებების გასიტყვების ნაწილი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მოსწავლეების მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებების პრეზენტაციები ეხმარება მოსწავლეებს მათემატიკური ტერმინების სწორად გამოყენებაში, როგორც საუბრის და პრეზენტაციის დროს, ასევე დავალებების შესრულების დროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.სწავლა სწავლების პროცესში დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები, აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. კურიკულუმში შეტანილია ისეთი დავალებებით, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისაუბრონ საკუთარ თავზე, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები და გაამყარონ არგუმენტებით, შეძლონ სხვისი აზრის პატივისცემა და მართონ საკუთარი ემოციები. მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას ემსახურება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და მასში გაწერილი საკვანძო შეკითხვები, შეფასების კრიტერიუმები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი

შეფასების რუბრიკები. სასურველია კურიკულუმების კომპლექსური ბუნების დავალებებით გამდიდრება, კომპლექსური დავალების შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების სახით ესგ-ის ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე სასკოლო პროექტის დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, კომპლექსური დავალების პირობაში, ჩაშენებული სახით, გრძელვადიან მიზნებთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მიზნით გამოიყენება. ცოდნის კონსტრუირების საფეხურების დეკლარატიული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე მისასვლელი ნაბიჯებისა და ჰოლისტურად შეფასების უზრუნველყოფისთვის სასურველია თითოეული კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა და განამვითარებელი კომენტარების შესაბამისი სტრუქტურის დაცვით გაწერა.წარმოდგენილი განმასაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ორიენტირებულია სამიზნე ცნებების ფლობის დონის განსაზღვრაზე. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გაწერილია მოლოდინები მიმართებით დონეზე, კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნილია თემის ინდიკატორებზე დაყრდნობით. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების, თვითშეფასების რუბრიკები, მოწმობს იმას, რომ შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით იყენებენ შეფასების მრავალფეროვან რუბრიკებს. შეფასების სისტემა მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშების სახით აქვს წარმოდგენილი, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის სფუძველზე, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს თანდათანობით შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც კიდევ მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. ასევე, კომპლექსური დავალებები მოიცავს კონტექსტის შესაბამის განმავითარებელ შეფასებას. სკოლას აქვს შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან, კომპლექსურ დავალებებში არსებული ჩაშენებული კრიტერიუმები კი უშუალო კავშირშია დასამუშავებელი ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან, ამ ყველაფრის ერეთობლიობა კი უზრუნველყოფს სანდო, ვალიდურ, ობიექტურ, გამჭირვალე და სამართლიან შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. რაც შეფასებას ხდის სამართლიანს და ობიექტურს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (რუბრიკები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას. წარდმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. სასურველია დირექციამ და მასწავლებლებმა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმის სწორად დანერგვის მიზნით, ადეკვატურად და რეალისტურად გაიაზრონ შემუშავებული

დოკუმენტი, გაითვალისწინონ სკოლის ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები და ისე დაგეგმონ შესაბამისი ქმედებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს აღრიცხავს და ინახავს ელექტრონულ ჟურნალში, მოსწავლეთა პირად საქმეში, დამრიგებლის ანგარიშში, კათედრის დოკუმენტაციაში. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონაცემების აღრიცხვას, მოსწავლეთა ნამუშევრების შენახვას 3 წლის ვადით.

……ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

……

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი, კურიკულუმში ჩაშენებული სამიზნე ცნებები და კომპლექსური დავალებები
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კათედრის შემაჯამებელი ოქმი (რესურსი N12)

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი მტიცებულებები, მთლიანობაში, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრების თანამშორმლობითა და პრობლემაზე ორიენტირებით, გაზიარებული პასუხისმგებლობითა და რეფლექსიით მიდინარეობს სასკოლო ცხოვრების პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სხვადასხვა პროექტი, მათ შორის, ესგ-ის პრიორიტეულ თემაზეც, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, კათედრის ოქმები, ერთ-ერთ მასწავლებელს დაწერილი აქვს რეფლექსიები სკოლაში განხორციელებულ 7 პროექტზე. საგნობრივ პროგრამებში გაწერილია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, ფრაგმენტულად წარმოდგენილია კომპლექსური ტიპის დავალებები.კათედრის წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოთ საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ხელს უწყობს მოსწავლეთა მხარდაჭერას მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებისას. სკოლა მოსწავლეებს სთავზობს საინტერესო სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს, დროულ უკუკავშირს საგაკვეთილო პროცესის დროს და დავალებების განხორციელების ეტაპებზე.

…ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებები, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა, რომლებიც მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ინდენტიფიცირებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის შესაბამისი ინტერვენციების დასაგეგმად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. სადამრიგებლო პროგრამით ჩატარებულია საკოლო პროექტები, რაც, ასევე, კარგი საშუალებაა მოსწავლეთა სხვადასხვა ინტერესები დასადგენად და დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, განხორციელებულია არაერთი სასკოლო პროექტი. პროცესი, რომ უფრო მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული გახდეს სასურველია უფრო მეტი კომპლექსური

ბუნებისა და პროექტული ტიპის დავალებების გაწერა სასკოლო კურიკულუმში.კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; აქ იგულისხმება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით. ინტერვიურების დროს, შეკითხვაზე: აპირებთ თუ არა დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას და თუ აპირებთ, მაშინ რამდენჯერ სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლებლებმა ისაუბრეს დიაგნოსტიკური კვლევის მნიშვნელობაზე და დაადასტურეს, რომ დიაგნოსტიკურ კვლევას ჩაატარებენ წელიწადში ორჯერ და გამოიყენებენ „კარგი სკოლის“ ტესტებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობით, კათედრის ოქმით, სადამრიგებლო პროგრამით, მშობელთა კრების ოქმით, დაგეგმილი და განხორციელებული სხვადასხვა პროექტით სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, თუმცა სასურველი და მნიშვნელოვანია სკოლამ შეიმუშაოს კვლევის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისტემატურად გამოავლენეს ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს და დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს თანამშრომლობის პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; მოსწავლეებმა მიღებული პროდუქტი და ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ სიტყვიერად, რაც ხელს უწყობს მათემატიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას და განვითარებას მოსწავლეებში. ასევე, ისინი ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს, უზიარებენ გამოცდილებას და შესაძლოა, ერთობლივადაც წყვეტენ კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე სკოლას წარმოდგენილი აქვს პროექტები, რომელთა განსახორციელებლად ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაციაა საჭირო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლის ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, სწავლა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას; მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ინტერვიურების დროსაც გამოიკვეთა მასწავლებლების მიერ პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნისკენ სწრაფვა. საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამის, კათედრის ოქმის, კლასგარეშე პროექტების ანალიზით შესაძლებელია იმის თქმა, რომ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს პოზიტიური კლიმატის შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე, თუმცა არ არის სხვა უფრო მყარი მტიცებულება, მაგალითად, ინტერვიუ ან ფოკუს-ჯუფი მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და დირექციასთან, რომლის დახმარებითაც გამოიკვეთებოდა აზრი და განცდა აღნიშნულ საკითხზე. სასურველია სკოლამ პერიოდულად ჩაატაროს სასკოლო კლიმატის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით და მიღებული შედეგები გამოიყენოს დამატებითი აქტივოებები დაგეგმვის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კურიკულუმი, სკოლო სასწავლო გეგმა, შფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. გამოკვეთილია ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე, თუმცა აღნიშნული ინფრომაცია არის მოკლე და ზოგადი. სასურველია

აღნიშნული პუნქტი ცალკე უფრო მკაფიოდ გამოიყოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში და უფრო მეტად დაკონკრეტდეს მონიტორინგისა და შეფასების პრინციპები, მიმართულებები, ფორმატი, ვადები და ინსტრუმენტები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა მონიტორინგისა და შეფასების როლზე სასწავლო პროცესში. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ზოგადი აღწერილობა იწვევს მხარდაჭერის მექანიზმის ასოციაციას, თუმცა სასურველია სკოლას იმის დასადგენად მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია „დასჯა-წახალისებად“, თუ მხარდაჭერის მექანიზმად ჰქონდეს კვლევის პრაქტიკა ინტერვიუს ან ფოკუს-ჯგუფის ფორმატში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კათედრაზე განხორციელებული საქმიანობების საფუძველზე იკვეთება შემდეგი- პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული,რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. სასწავლო აქტივობების დაგეგმვა და ორგანიზება, პრობლემების გამოკვეთა სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა, თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება; ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი საკითხების განხილვა; სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება.

-სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემადგენელი აქტივობებია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ხედვა ასეთია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი

ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას.სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში დეტალურად არაა გაწერილი, რომელ მრავალფეროვან წყაროებზე (ვინ? რა?) დაყრდნობით მოხდება შეფასება ან როგორ ფორმატში და რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით. სასურველია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს მრავალფეროვანი წყაროები ჰოლისტურად შეფასების მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის თვითშეფასებიდან და სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ სურვილის მიხედვით ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები.სკოლას აქვს კლასის ანალიზის ფორმა, კათედრის სხდომები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, დამრიგებლის საათი და პროექტები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასების მრავალი კონტექსტით განხორციელებას უზრუნველყოფს:კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები. პედაგოგები

ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდიან მათ უკუკავშირს. მასწავლებელი ინფორმაციას მოსწავლის შესახებ აგროვებს მოსწავლის, მის თანატოლების, მშობლების, მასწავლებლების, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალის გამოკითხვის შედეგად. რათა მიიღოს მეტი ინფორმაცია მოსწავლის შესახებ და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში.სკოლა აქტიურად იყენებს არაფორმალური განათლების აქტივობებს, საიდანაც ხდება მოსწავლეებზე მონაცემების შეგროვება, ასევე, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მათემატიკის კათედრა აპირებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. სასურველია მეთოდოლოგიაში ჩანდეს მრავალმხრივი მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც მოხდება შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება.მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა შემდეგი, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური შედეგების და ფუნქციური უნარების ანალაიზი. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს

განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას , გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. სკოლას აქვს მოსწავლეზე დაკვირვების ფორმა, დამრიგებლის პროექტები/აქტივობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ტარდება მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები, სადაც განიხილება მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციური უნარები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც შესაძლებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. სასურველია მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა კონტექსტის გათალისწინება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის-განვითარების-მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის და ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, კურიკულუმის განხორციელების პროცესი დაეფუძნება მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას დასახული მიზნის მიღწევისა და პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით. მასწავლებლები ურთიერდასწრებების და თანამშრომლობის საფუძველზე შეიმუავებენ სარეკომენდაციო პაკეტს თუ როგორ გამოიყენებენ დაგროვილ გამოცდილებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი, გადასინჯვა და შეფასება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.საბუნებისმეტყველო კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც კათედრის წევრებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა/ რევიზირება მომავალშიც გაგრძელდება კათედრაზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებ

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი წარმოდგენილია დაზიპული ფაილის სახით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ლია ჯალაღონია /

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /ტარიელ სივსივაძე/

/იოსებ ლაზარაშვილი/

/მარინე კვარაცხელია/

/ხათუნა ბენდელიანი/

/მადონა ბობოხიძე/

/მზია დადვანი/

/ნინო ბერიშვილი/

/თამარ ზედგენიძე/

/ნადია დაბრუნდაშვილი/

/ნინო ბლუაშვილი/

28.11.2023